ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 3 თებერვალი, 2022 №24 (8802) ფასი: 60 თეთრი

ანტიკორუფციულმა სააგენტომ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ოთხი თანამშრომელი დააკავა

გვ.5

„ვსვამ კითხვას, აცრილი არის თუ არა ჩვენი ახალი ჯანდაცვის მინისტრი?!“

გვ.3

ვატო სურგულაძე: „მოსახლეობის 42% ამბობს, არ ავიცრებიო და თინა თოფურიას ნათქვამის სჯერა, ეკლესიის ზარები დარეკეთ, კორონას კლავსო“

„გახარიას მოუწევს მტკიცება, რომ „ქოცი“ არ არის, ვიდრე იმის, რომ „ნაცი“ არაა“

იაგო ხვიჩია: „სოციალურ პრობლემებზე საუბარი არც „ოცნებას“ აწყობს და არც ოპოზიციის დიდ ნაწილს, ოპოზიცია უნდა შეიცვალოს“

გვ.2

პროკურორი: „5 ივლისს, ყველა ჟურნალისტის, ოპერატორის და ფოტოგრაფის მიმართ ახორციელებდნენ ძალადობრივ ქმედებებს“



ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე ბრალდებული სამივე პირი მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა

გვ.5

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალებს ხელისუფლებაში მობრუნება არ სურთ“

გვ.4

„სააკაშვილის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა წამება არ არის“

უკრაინის საზღვართან ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება?

გვ.4

როგორ თანამშრომლობენ რუსეთთან გერმანია და საფრანგეთი

ISSN 1987-9385

3 ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ქვეყანაში 200-მდე მედიკამენტზე ფასები შემცირდება

5 „ძვლები სულ მტკივა, ძირს რომ დამაგდებდა, ზედვე მახტებოდა ხოლმე... მზად ვიყავი მომეკლა“

4 „ევროპული საქართველო“ საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმებას მოითხოვს

6 ტოკიოში კორონავირუსის შემთხვევათა რაოდენობამ 20.000-ს პირველად გადააჭარბა

„გახარიას მოუწევს მტკიცება, რომ „ქოცი“ არ არის, ვიდრე იმის, რომ „ნაცი“ არაა“

იაგო ხვიჩია: „სოციალურ პრობლემებზე საუბარი არც „ოცნებას“ აწყობს და არც ოპოზიციის დიდ ნაწილს, ოპოზიცია უნდა შეიცვალოს“

იაგო ნაცვლიშვილი

რას ფიქრობს გახარიას პარტიისა და ნაცმოძრაობის საკრებულოების დონეზე თანამშრომლობაზე და რამდენად ლოგიკურია „ოცნების“ რიტორიკა? რატომ არის გაჩერებული პოლიტიკური პროცესი და რატომ ვერ პასუხობს პოლიტიკური კლასი საზოგადოების მოთხოვნილებებს? — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია საუბრობს.

– ფაქტობრივად პოლიტიკური პროცესი გაჩერებულია და ამაზე თქვენც გისაუბრიათ. როგორ შეიძლება ამ წრიდან გასვლა და საზოგადოების საჭიროებებზე გადართვა? დღის წესრიგიდან რატომ არის გამქრალი სოციალური პოლიტიკა?

– იმიტომ, რომ არ აწყობთ სოციალურ პრობლემებზე საუბარი, განსაკუთრებით კი ხელისუფლებას. ის ბევრად უფრო თავდაჯერებულია, როცა საქმე ნაცებს ეხება, მაგრამ როცა საქმე ეხება სოციალურ პრობლემებს, მას მაინცდამაინც არ უნდა ამაზე საუბარი.

ოპოზიციას რაც შეეხება, მისი დიდი ნაწილი წინა ხელისუფლებაში იყო, ამიტომ მათთვისაც არ არის მარტივი ამ პრობლემებზე საუბარი, რადგან ნახელისუფლარი პარტიაა. ამავდროულად მათთვისაც ბევრად კომფორტულია „ქოცებზე“ საუბარი, ვიდრე იმ თემაზე, რაც ხალხს აწუხებს.

– ცოტა უხეში ფორმით რომ ვთქვათ, ორივესთვის მისაღებია „ნაც-ქოცური“ ნარატივი?

– დიახ, რა თქმა უნდა, და შესაბამისად, მათ არც უნდათ სხვა ნარატივზე გადასვლა.

– თქვენ როგორ ხედავთ? როგორ უნდა გადავიდეთ რეალურ პრობლემებზე მსჯელობის რეჟიმზე, რათა რეალური გახდეს ხელისუფლების შეცვლა, რაზეც მთელი ოპოზიცია და, მათ შორის, ხალხიც საუბრობს?

– ჩემი აზრით, ოპოზიცია უნდა შეიცვალოს. ხელისუფლება ისეთია, როგორიც არის. შესაბამისად, ის ვერ ხედავს საჭიროებას, რომ შეიცვალოს. ამიტომ ოპოზიცია უნდა შეიცვალოს. მან უნდა შეცვალოს თავისი მიდგომები, რომ ხელისუფლებასაც მოუწიოს ცვლილება. შესაბამისად, ნაბიჯი ოპოზიციაზეც არის და თუ ოპოზიცია ამას არ გააკეთებს, მაშინ ნაბიჯები ხალხის მიერ არის გადასადგმელი. მან უნდა გადაწყვიტოს, რომ არა მხოლოდ ხელისუფლება შეცვალოს, არამედ ოპოზიციაც შეცვალოს, რასაც რაღაც თვალსაზრისით აკეთებს კიდეც გარკვეული პერიოდულობით.

– რაც შეეხება საერთაშორისო გამოწვევებს – მივიღეთ რეზოლუცია, სადაც რუსეთი ვერ ვახსენეთ. ვხედავთ იმასაც, რომ რეგიონში ვითარება შეცვლილია და წინ წამოიწია საქართველოს თემამაც. გასაგებია, რომ ხელისუფლება უმოქმედოა, მაგრამ ოპოზიციას რა შეუძლია გააკეთოს ქვეყნის საკეთილდღეოდ თუნდაც საუბრის დონეზე?

– მე არ მაქვს ახლა სრულად მზად გიპასუხოთ, როგორ შეიძლება დახმარება, მაგრამ მინიმუმ საუბარი და კონსულტაცია იმ ხალხთან, რომ თავად აირჩიონ ქმედება მათი გადმოსახედიდან, მინიმუმ, ეს იქნებოდა სწორი. დანარჩენი რაც შეგიძლია იმ საშუალებებით უნდა ელაპარაკო იმაზე, რაც მნიშვნელოვანია და ეს არის უკრაინის არდამარცხება. ახლა თავისუფლების ბრძოლის ხაზი გადის უკრაინაზე და მხარდაჭერა უნდა იყოს მის მიმართ რეალური და არა ზოგადი აბსტრაქტული მხარდაჭერა. ძირითადი რესურსი, რომ ქვეყანა სწორად წარდგეს მსოფლიოს წინაშე, არის ეს.

– ვიყენებთ რესურსს? მხოლოდ ხელისუფლების დონეზე არ ვსვამ კითხვას – ზოგადად ქვეყანა თუ იყენებს? მათ შორის ვგულისხმობ სამოქალაქო სექტორს, ოპოზიციას და ა. შ.?

– მე არ ვარ ამ დარგის მთავარი სპეციალისტი, მაგრამ ჩვენ თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ხდებოდა პარლამენტში, ბევრი რამე გამოააშკარავა. ზოგადად საუბარი იმაზე, როდესაც ორ სიტყვაზე საუბარი ამდენი ხანი გრძელდება და ხედავ, რომ ხელისუფლებას არ აქვს არგუმენტი, მაგრამ მაინც არ აკეთებს იმას, რაც სოლიდარობის გამოსაცხადებლად უკეთესია, ვერ ვიქნები დარწმუნებული, რომ ხელისუფლება სწორად იქცევა. მით უმეტეს, იმ საკითხებში, რაც მე არ მესმის კარგად.

– მუნიციპალიტეტების საკითხიც გახდა დიდი განხილვის საკითხი. ამდენი თვე რამდენიმე საკრებულოში უმრავლესობა არ გვყავდა და გახარიას გუნდმა გადადგა თემატური თანამშრომლობა „ნაცმოძრაობასთან“, რასაც „ოცნება“ გვასაღებს კოალიციად და ზოგადად, როგორ უყურებთ ამ პროცესს?

– მე ამაში გასაკვირი არაფერი არ მგონია, გასაკვირი უფრო ის მგონია, რომ ამ ფაქტორს, როდესაც პარტიები საკრებულოების დონეზე თანამშრომლობენ და ერთმანეთს მხარს უჭერენ, პარლამენტის დონეზე გაგრძელება არ მოსდევს. აგერ მიხეილ სააკაშვილის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნასთან და ასეთ საკითხებზე, სადაც მას სჭირდება გახარიას პარტიის თანხმობა, არ უჭერენ მხარს. ფიზიკურად ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რატომ არის ეს კოალიცია.

ზოგადად თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე, რათა ხელისუფლების კანდიდატი არ გაიყვანო და შენი კანდიდატი გაიყვანო, ესეც ჩვეულებრივი ამბავია და ამაშიც ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ.

– ლოგიკაში არ ჯდება „ოცნების“ არგუმენტები, რომ აი, კოალიცია შექმნეს და გახარია მოღალატეა და ა. შ.?

– „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება გახარიას პარტიის მიმართ მათი გადასაწყვეტია, მაგრამ გახარიას იმის მტკიცება უფრო მოუწევს, რომ „ქოცი“ არ არის, ვიდრე იმის, რომ „ნაცი“ არ არის. თუმცა, თავისთავად ცხადია, როდესაც ასეთ სიტუაციაში ეხვევი, შენი მოწინააღმდეგეები ამას გამოიყენებენ და იტყვიან, რომ კოალიციაა. ამ დროს შენ უნდა გამოიყურებოდე თავდაჯერებულად და უნდა აჩვენებდე, რომ შეგწევს უნარი, შეგიძლია ითანამშრომლო სხვა პოლიტიკურ პარტიასთან. ამ დროს სიტყვაზე არ უნდა დაკომპლექსდე იმის გამო, რომ რაღაცას დაგიძახებენ. გასაგებია, რომ რაღაცის არჩევა მოგიწევს, მაგრამ თანმიმდევრული რომ იყო, იგივე უნდა ხდებოდეს პარლამენტში.

ეს უნდა იყოს ნათქვამი, მაგრამ, როგორც უკვე ვახსენე, „ქართული ოცნების“, ნაციონალური მოძრაობისა და გახარიას პარტიის ერთმანეთთან ურთიერთობა არ არის ჩემი საქმე. მე ამას ვაფასებ, როგორც ჩვეულებრივ პოლიტიკურ პროცესს, რომელსაც ვხედავ, რომ არათანმიმდევრულია, რადგან ვხედავ, რომ ერთგან სხვა რამე ხდება და მეორეგან სხვა და სწორედ ეს მაინტერესებს, რატომ არის ასეთი არათანმიმდევრულობა.

ალუდა ღუდუშაური: „სააკაშვილის საკითხზე კომისიაში შეიძლება მივიღოთ კიდეც მონაწილეობა“

– ეს არის ტაკიმასხარაობა, სხვა არაფერი, რასაც ვხედავთ ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან, ამას არაფერი არ აქვს საერთო, არც უკრაინასთან და არც უკრაინელი ხალხის მხარდაჭერასთან, ეს არის პოლიტიკური კეკლუცობის კლასიკური ნიმუში, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა, ალუდა ღუდუშაურმა გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

მან ისაუბრა უკრაინის კრიზისის გარშემო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პოზიციასთან დაკავშირებით ოპოზიციის კრიტიკის თაობაზე და განაცხადა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, ოპოზიციური პარტიების ნაბიჯებს პოლიტიკურ სახელმძღვანელოებში შეიტანენ, თუ როგორი არ უნდა იყოს პარტია და პოლიტიკოსი.

ალუდა ღუდუშაურის განცხადებითვე, ყველას კარგად ახსოვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნამოქმედარი.

– ეს არის ტაკიმასხარაობა, სხვა არაფერი, რასაც დღეს ვხედავთ მათი წარმომადგენლების მხრიდან. ამას არაფერი არ აქვს საერთო, არც უკრაინასთან და არც უკრაინელი ხალხის მხარდაჭერასთან. ეს არის პოლიტიკური კეკლუცობის კლასიკური ნიმუში. დარწმუნებული ვარ, როდესაც დრო გავა, პოლიტიკურ სახელმძღვანელოებში შეიტანენ მათ საქციელს, როგორი არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტია და პოლიტიკოსი. რა საერთო აქვს იმ აქტივობას, რასაც ახორციელებენ? – არანაირი. როდესაც ვსაუბრობთ პასუხისმგებლობაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, აქ არის ძალიან მარტივი მოცემულობა: როდესაც გუნდს ახსენებთ, იქვე უნდა ახსენოთ „ნაციონალური მოძრაობა“ – ჩვენ ვართ ხელისუფლება, რომელსაც ხელისუფლების დროს არ დაუკარგავს ტერიტორიები, ქვეყანაში ომი არ ჰქონია და, რაც მთავარია, ქვეყანას და საზოგადოებას მივეცით სტაბილური, მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა.

საზოგადოებამ კარგად იცის, ვინ არის ეს ხალხი: ამათი ნაომარიც კარგად ვნახეთ, დიპლომატია და რესურსიც – გონებრივი შესაძლებლობა, მოქმედება, პოლიტიკა, – 2008 წელს ყველაფერი ვნახეთ და ამის შემდეგ ჩვენი ასობით სოფელი დაიკარგა, ქვეყანამ დაკარგა ტერიტორია, მოქალაქეები და ჩვენი გმირი სამხედროების გვამები მიატოვეს ბრძოლის ველზე. შემდეგ ისიც გვახსოვს, როგორ მოაწერეს ხელი რეზოლუციას, რომლითაც პირდაპირ დადანაშაულებულია ქართული მხარე აგრესიული ომის წარმოებაში. ახლა ამ პოლიტიკურმა სვავებმა იპოვეს დრო და იყენებენ ამას იმისთვის, რომ თავიანთი დისკრედიტირებული, ნულს ქვემოთ ჩამოსული რეიტინგით ხალხს თავი შეახსენონ, როგორმე წამოიწიონ და დაინტერესონ, – განაცხადა ღუდუშაურმა.

რაც შეეხება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქმეზე პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს, ღუდუშაურის თქმით, „კომისიის შექმნა თვითმიზანი არ არის.“

– სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით, თუ ასეთი რამ მოხდა, შეიძლება მივიღოთ კიდეც მონაწილეობა, რომ საზოგადოებამ ნახოს, ამ მტირალა ადამიანის თავს რეალურად რა ხდებოდა. ძალიან საინტერესო იქნება იმ ფაქტების გამომზეურება, რა ხდებოდა იმ დროს ციხეში და რა ხდება დღეს, როდესაც მაღალი ხარისხის ფაფას მიირთმევს მოშიმშილე პრეზიდენტი, – აღნიშნა ღუდუშაურმა.

2 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის, „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატები დაასახელა

შუალედურ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატები დაასახელა – პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, რუსთავსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში ირაკლი შატაკიშვილის, ხოლო ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარად რამაზ ჭინჭარაძის კანდიდატურები წარადგინა.

შეგახსენებთ, შუალედური არჩევნები 2 აპრილს ჩატარდება.

თინა ხიდაშელი: „უკრაინის თავისუფლებას თუ რამე დაემუქრა, საქართველოც აღმოჩნდება მსხვერპლი“

თინა ხიდაშელის განცხადებით, რუსეთი დამარცხდება ყველა ფრონტზე.

– რუსეთი ყოველდღიურად დიპლომატიურ შერკინებაში მარცხდება. ორი დღის წინ, ყველამ ერთად ვუყურეთ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომას, სადაც რუსეთმა ვერ მოახერხა ვერც ერთი მოკავშირის მოძებნა, გარდა ჩინეთისა, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ნახევარი სიტყვით იყო მისი მოკავშირე – სრულფასოვნად ჩინეთის მხარდაჭერაც ვერ მოიპოვა. ვნახეთ ერთ ხმაზე მოლაპარაკე დასავლეთი. ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვილაპარაკოთ რუსეთის მარცხზე დიპლომატიურ და პოლიტიკურ ავანსცენაზე. რუსეთს არანაირი შანსები არ აქვს სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში, რადგან ეს ის შემთხვევაა, როცა თვისობრივად და ხარისხობრივად სრულიად განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ორ ბანაკზე ვსაუბრობთ. რა თქმა უნდა, რუსეთს აქ შანსები არ აქვს, – განაცხადა ხიდაშელმა.

თინა ხიდაშელის თქმით, საქართველო უნდა იყოს უკრაინის გამარჯვების თანამონაწილე და ამ პროცესში „სალომე ზურაბიშვილის ხმა ისევე უნდა ისმოდეს, როგორც ზელენსკის ხმა ისმის“.

– მოსახლეობის ნაწილი მშვიდობას ემხრობა, მეც ვემხრობი მშვიდობას, მაგრამ ყველას ძალიან კარგად უნდა გვესმოდეს, რომ უკრაინის მარცხი პროცესში ავტომატურად ნიშნავს საქართველოს მარცხს. საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მარცხს. როგორც არ უნდა მოიქცეს „ქართული ოცნება“, რაც არ უნდა გააკეთოს, უკრაინის მარცხის პირობებში, ჩვენი ბედი გადაწყვეტილია. არის ხოლმე ისტორიული მომენტი, როდესაც, სამწუხაროდ, ასე ხდება, რომ სახელმწიფოების ბედი ერთმანეთს გადაეჯაჭვება ხოლმე და პირდაპირ დაკავშირებულია ერთმანეთთან. დღეს თუ უკრაინის თავისუფლებას რამე დაემუქრა, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება თბილისში ხელისუფლებაში, საქართველოც აღმოჩნდება მსხვერპლი. ვერაფერი ვერ გადაარჩენს საქართველოს უკრაინის დამარცხების შემთხვევაში, რადგან ჩვენ ახლა გააფთრებით უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ჯერ ერთი, ჩვენი ხმა ისმოდეს, როგორც უკრაინელების ხმა ისმის. ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის ხმა ისევე უნდა ისმოდეს, როგორც ზელენსკის ხმა ისმის და ჩვენც უნდა ვიყოთ თანამონაწილე უკრაინის გამარჯვების პროცესში, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვსვამ კითხვას, აცრილი არის თუ არა ჩვენი ახალი ჯანდაცვის მინისტრი?!“

ვატო სურგულაძე: „მოსახლეობის 42% ამბობს, არ ავიცრებიო და თინა თოფურიას ნათქვამის სჯერა, ეკლესიის ზარები დარეკეთ, კორონას კლავსო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

– ბატონო ვატო, ყოველდღიურად იმატებს ინფიცირებულთა რიცხვი. გუშინ 24 ათასს გადაცდა, დღეს კი – 26 ათასს. მაღალია გარდაცვლილთა რიცხვიც. 44 ადამიანი გარდაიცვალა. როგორც ჩანს, არც ისე მარტივი შტამია, როგორ განცხადებებსაც აკეთებდნენ. რა ვითარებაა ქვეყანაში?

– აბსოლუტურად ასეა, თავიდანვე ვამბობდი, რომ არ არის მარტივი შტამი და რომც იყოს, ჩვენ არ ვიცით, ხვალ როგორ მოტრიალდება. ამიტომაც, ამათი პოლიტიკა არის პოლიტიკა, რომ როგორმე გადავაგორებთ და მოდით, საერთოდ არაფერი არ გავაკეთოთ. გუშინდელი მათი განცხადებების შემდეგ, აი ნახავთ, აღარავინ გაიკეთებს აღარც ნიღბებს, აღარაფერს ვამბობ მასობრივ შეხვედრებზე, აღარ იქნება აღარანაირი დისტანცია და ა.შ. სრულ კატასტროფამდე მივალთ. ამირან გამყრელიძე რომ ამბობდა სამი კვირის წინ, შესაძლოა 60 ათასი ინფიცირებული გვყავდეს ყოველდღიურადო, მე ცოტა კრიტიკულად ვუყურებდი, ვფიქრობდი, 60 ათასი ნამეტანია, მაგრამ ასეთი პოლიტიკით, 60 ათასიც გვეყოლება და 80-იც.

– როდესაც ოფიციალური მონაცემებით 26 ათასია, უნდა ივარაუდო, რომ სამჯერ მეტიაო. ასეა?

– დიახ, ასეა. გუშინაც 30 ათასი პსრ ტესტი ჩატარდა, დანარჩენი 50 ათასი იყო სწრაფი ტესტი, რომლის ნდობაც არ შეიძლება. აქედან გამომდინარე 60 ათასი ინფიცირებული გახდა რეალური რიცხვი. ასევე ვიმეორებ, ორი დღის წინანდელმა განცხადებამ მწვანე პასპორტების მოხსნის შესახებ...

– ძალიან ცუდი გადაწყვეტილება იყო მწვანე პასპორტის გაუქმებაო. იზიარებთ?

– რასაკვირველია, ცუდზე უარესი. მინისტრის მოადგილე რომ გამოდის, ამხელა თანამდებობა აქვს და ამბობს, მწვანე პასპორტმა თავის ფუნქცია შეასრულაო, რა შეასრულა, არც დაწყებულა! მწვანე პასპორტების ძირითადი ფუნქცია ის არის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი წახალისდეს იმისათვის, რომ გაიკეთონ ვაქცინა. როდის იმუშავა? კონტროლი ამას არ ქონია, თბილისში ალაგ-ალაგ მუშაობდა, რეგიონებში საერთოდ არ მუშაობდა. რა, თავის თავი ამოწურა? საერთოდ რას ლაპარაკობენ!

– რა იყო მოტივი, რატომ გააუქმეს მწვანე პასპორტი?

– პირდაპირ ვამბობ, არავითარი გეგმა არა აქვთ. კაცმა არ იცის, მაგათ თავში რა იხარშება. დილით ვიღაცას რაღაც დაარტყამს თავში მთავრობიდან, ვიღაც შტერს მოუვა თავში რაღაც და სხვებიც დაეთანხმებიან, მოდით გავაკეთოთ. პოპულისტურ, გაუთვლელ და შტერულ გადაწყვეტილებებს ღებულობენ. პრაქტიკულად ჯანდაცვის წარმომადგენლებს საერთოდ არ უსმენენ.

– პრემიერ-მინისტრმა ამ გადაწყვეტილებით ანტივაქსერები წაახალისაო. საკმაოდ ბევრი ჰყავს ასეთი მხარდამჭერებში. ასეა?

– დიახ, ზუსტად ასეა. თანაც, ხომ ვნახეთ, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს. ვნახეთ ისიც, რომ 42% საერთოდ არ აპირებს აცრას, ანუ ანტივაქსერული განწყობა აქვს და, პრაქტიკულად, ღარიბაშვილმა მაგათი გული მოიგო. ამით კი ქვეყანა დაღუპა და დანაშაული ჩაიდინა. როგორც საფრანგეთში სასამართლოს გადასცეს ჯანდაცვის მინისტრი, რომელმაც 2020-ში რაღაცა არასწორად გააკეთა და ამის გამო სასამართლოს გადასცეს, ზუსტად იგივე ბედი მოელით.

– ძალიან ცუდი სიტუაციაა, იმის მაგივრად, რომ რეგულაციები გაემკაცრებინათ და აემოქმედებინათ არსებული, რაც იყო, ისიც გააუქმეს.

– გამკაცრებაზე არც არის საუბარი, რაც იყო, ის უნდა აღესრულებინათ. ეს უნიათოები, ესენი! ისეთ ვიდეოკლიპებს დავამზადებთ, როგორ იმკურნალონ სახლში კოვიდპაციენტებმაო. საიდან მოაქვთ ამდენი სიშტერე, აღარ ვიცი! საერთოდ, რა განათლების დონეა და სადა ვართ?! როცა 42% ქვეყანაში ამბობს, არ ავიცრებიო და თინა თოფურიას ნათქვამის სჯერა, ეკლესიის ზარები დარეკეთ, კორონას კლავსო. აი ამის მერე რაზე უნდა ვილაპარაკოთ?! სულ ვსვამ კითხვას და პასუხი ჯერ ვერ მივიღე, აცრილი არის თუ არა ჩვენი ახალი ჯანდაცვის მინისტრი?! ბევრს დავუსვი ეს შეკითხვა, მაგრამ პასუხი არ მაქვს. ჰკითხოს ვინმემ, თვითონ აცრილია ჯანდაცვის მინისტრი?!

– ეკატერინე ტიკარაძემ ძალიან სამწუხარო უწოდა მწვანე პასპორტის გაუქმების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. ის უფრო თანმიმდევრული იყო?

– ტიკარაძე, ამათთან შედარებით, გაცილებით ადეკვატურია. თუმცა დიდად არც ის უქნია ღმერთს.

– ძალიან მაღალია გარდაცვლილთა რიცხვი. ამაზე რას იტყვით?

– დიახ, გუშინაც 44 ადამიანი გარდაიცვალა. თუნდაც ერთიც რომ იყოს, ერთი ადამიანის სიცოცხლე, სიცოცხლე არ არის?! არ უნდა გვყავდეს გარდაცვლილები. წესით, შეეძლოთ ისე ემუშავათ, რომ დღეში მაქსიმუმ ათზე მეტი არ გვქონოდა ლეტალობის რიცხვი. რა თქმა უნდა, ათიც ცუდია, მაგრამ ყოველდღე ამდენი გარდაცვლილი, ეს საგანგაშოა. ამათმა უნიათობამ, ამათმა არაფრის კეთებამ გამოიწვია ის, რომ ყოველდღე ამდენი ადამიანი გვეღუპება.

– ონლაინ კლინიკები ავამუშავეთო და ისე გადის მთელი კვირა, რომ არც კი რეკავს ოჯახის ექიმი. რამდენ ადამიანს მძიმედ გადააქვს და მომკითხავი ვინ არის?

– სრული ქაოსია. გუშინ ერთ ნაცნობს უნდოდა დახმარება, რომ კოვიდ სასტუმროში გადასულიყო, სანამ ნახევარი საქართველო არ შევაწუხეთ, გოგო კოვიდსასტუმროში ვერ გადავიყვანეთ. რა ორგანიზებულობა, რა ონლაინ კლინიკები, საერთოდ ვინ მუშაობს მაგ ონლაინ კლინიკებში. ყოველდღე უნდა დაურეკონ ყველა დაავადებულს და უნდა მოიკითხონ – რა მდგომარეობაა, სიცხეზე ხომ არ მოუმატა, ხომ არ სჭირდება კლინიკაში გადაყვანა, გაუგზავნოს თუ არა სასწრაფო დახმარება. ამას ჩვენთან არავინ არ აკეთებს. ეს ყოველდღიური ზარები უნდა იყოს. გეგმაც კი მაქვს დაწერილი, ისე მარტივად შეიძლებოდა ამის გაკეთება. სად დავასაქმოთ სამედიცინოს სტუდენტებიო და აი, სად უნდა დაასაქმონ. მიეცათ ის საქმე, რაც ოჯახის ექიმებს დააკისრეს, აღარც ექიმები გადაიღლებოდნენ და სისტემაც აწყობილი იმუშავებდა. თან გაეკეთებინათ საპატაკო სისტემით, ყოველდღე მოვიდოდა ინფორმაცია, რომ ამა და ამ პაციენტს დავურეკე ამა და ამ საათზე, აღენიშნებოდა ესა და ეს. რა უნდა მაგის გაკეთებას? მონდომება და მეტი არაფერი.

– ამათი ონლაინ კლინიკები ფაქტიურად არაფერს არ აკეთებს?

– აბსოლუტურად არაფერს. ვერც გააკეთებს. არც არაფერი იციან და სხვასაც არ უსმენენ.

– მედპერსონალიც ვეღარ უძლებს ასეთ გადატვირთვას, ბევრს კოვიდი დაუფიქსირდა, ბევრი აუცრელიაო. ესეც სერიოზულ პრობლემად რჩება არა?

– ეს პრობლემაცა გვაქვს, ექიმების დიდი რაოდენობა არის ანტევაქსერულად განწყობილი. უნდა ჩატარებულიყო სამუშაო, არაფერი გაუკეთებიათ ამ მიმართულებით. არაფერი არ იციან, არც უნდათ, რომ მოგისმინონ და ვართ ამ სიშტერეში. ბევრგან მოიხსნა მწვანე პასპორტებიო, იქ რომ მოიხსნა მწვანე პასპორტები, იქ და ჩვენთან ერთი სიტუაციაა?! ბრიტანეთში 69%-ია უკვე მესამე დოზით აცრილი. ვის ედრები, რას ედრები, ამდენი ხალხი გიკვდება, ეკონომიკა ჩერდება, ხალხი უმუშევარია! აუცილებლად მოეთხოვებათ მაგათ პასუხი ამ ყველაფრისთვის! რასაც ეგენი სჩადიან, ეს არის მავნებლობა! გენოციდს აწყობენ პრაქტიკულად!

– როგორია თქვენი პროგნოზი, როდის გადაივლის ეს ცუნამივით მოვარდნილი მეექვსე ტალღა?

– არ ვიცი და ვინც ამ პროგნოზს გეტყვით, იმან საერთოდ არაფერი არ იცის. ორი კვირა გვექნება კიდევ ასეთი ზრდა, მერე ვირუსის ციკლური განვითარების გზაა ასეთი, რომ კლება უნდა დაიწყოს და დაიწყებს კლებას. მერე შუა გაზაფხულზე ისევ შემოგვიტევს. კიდევ ერთი შემოტევა აუცილებლად გვექნება. ნუ ამბობენ, რომ ეს ვირუსი მსუბუქად მიმდინარეობს. არც ისე მსუბუქად მიმდინარეობს. ამ ვირუსს აქვს ძალიან ცუდი პოსტკოვიდური გართულებები, დაწყებული მეხსიერებიდან, დამთავრებული კუნთების და სახსრების ტკივილებით. ამოცანა ის კი არ არის, რომ ყველა გახდეს ავად. ხომ ვხედავთ, რომ არ მუშაობს ეს პოპულაციური ინდექსი. ხალხი მესამეჯერ და მეოთხეჯერ ინფიცირდება. ხომ ვნახეთ, რომ ვირუსის გადატანის შემთხვევაში არ შემუშავდა მყარი იმუნიტეტი. ვაქცინაცია უფრო კარგი მექანიზმია, ვიდრე გადატანისას ჩამოყალიბებული იმუნიტეტი. პრემიერი კი ამ შტერული გადაწყვეტილებებით თავისი რეიტინგის გაზრდას ცდილობს. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, საკოორდინაციო საბჭოში შემავალი ჯანდაცვის წარმომადგენლები ეწინააღმდეგებოდნენ ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ პრემიერმა არ დაუჯერა. ძალა აღმართს ხნავსო.

– როგორც ჩანს, ადრეც იყო ამაზე საუბარი, ჯერ კიდევ რამდენი ხნით ადრე თქვა ამირან გამყრელიძემ, რომ მწვანე პასპორტის გაუქმებას მხარს არ დავუჭერო. არ მოუსმინა მას პრემიერმა?

– არ მოუსმინა. გამყრელიძემ კატეგორიულად თქვა, დაავადებათა კონტროლის ცენტრში ვერ შემოვა ვერც ერთი ადამიანი, თუ მას მწვანე პასპორტი არ ექნებაო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამირან გამყრელიძემ კარგად იცის, რომ მწვანე პასპორტი არის ერთ-ერთი კარგი გამოსავალი და სტიმული.

თელმიკოსა და თელასის შემოწმება იწყება – სემეკი კომპანიებში შევა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია თელმიკოსა და თელასში შევა.

სემეკი ადგილზე შეისწავლის კომპანიების მრიცხველების აღრიცხვის სისტემებს. როგორც კომისიაში აცხადებენ, აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულია მოქალაქეთა დიდი ოდენობის საჩივრებით, რომლებიც შეეხება ელექტროენერგიის გაზრდილ გადასახადებს.

ბოლო რამდენიმე თვეა სოციალურ ქსელში მოქალაქეები წერენ, რომ ელექტროენერგიის გაზრდილ გადასახადს იღებენ. თელმიკოს განცხადებით, ეს დეპოზიტის დარიცხვის გამო მოხდა, თუმცა ახლა მოსახლეობისთვის დეპოზიტის დარიცხვა შეჩერდა.

თელმიკოს კლიენტთა მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელის, თეა ნოზაძის თქმით, ტარიფი არ გაზრდილა და მან განმარტა, „რატომ უჩნდება მოსახლეობას დენის ტარიფის ზრდის განცდა“.

– არის ერთი შემთხვევა, როდესაც ჰგონიათ, რომ ტარიფი გაიზარდა, რეალურად გვიკავშირდებიან და ვუხსნით, რომ (დეკემბერში) თანხა არ გაქვთ გადახდილი და ამან გამოიწვია, თორემ თვიური მოხმარება არ გაზრდილა. და არის კიდევ მეორე მომენტიც, როდესაც მომხმარებლების რაღაც რაოდენობას აქვს (ტარიფის ზრდის) შეგრძნება. ჩვენ შემოვედით ბაზარზე 2021 წლის 1 ივლისიდან, აქედან მოყოლებული ტარიფის ზრდის ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ 1 წლის განმავლობაში მთავრობა ტარიფთა შორის სხვაობის სუბსიდირებას ახდენდა, რომელიც იანვრიდან აღარაა და ესეც ქმნის (ტარიფის ზრდის) შთაბეჭდილებას, – თქვა მან.

ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ქვეყანაში 200-მდე მედიკამენტზე ფასები შემცირდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ თურქეთის ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას „ევრონიუსი“ ეხმაურება. რეპორტაჟის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 200-მდე მედიკამენტზე ფასები შემცირდება.

რეპორტიორი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ დეფიციტის დაძლევის მიზნით თურქეთიდან მედიკამენტების იმპორტი დაუშვა. მისივე თქმით, საქართველოსთან შედარებით ბევრი მედიკამენტის ფასი თურქეთში 1000%-ით იაფია.

რეპორტაჟის ავტორი მოქალაქეების აზრით დაინტერესდა. ნანა შუკაკიძე, რომელსაც ხშირად უწევს აფთიაქში სიარული გულის წამლების შესაძენად, აღნიშნავს, რომ მაღალი ფასების გამო ხანდახან ვერ ახერხებს საკმარისი დოზის შეძენას, რადგან მხოლოდ მცირე თვიური პენსია აქვს. შუკაკიძე აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში მედიკამენტების ფასები იმდენად გაიზარდა, რომ ქართველი მოხუცებისთვის ეს ფუფუნება გახდა.

– აქ პენსიონერებისთვის წამლები მიუწვდომელია, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისთვის, ექიმმა ფრანგული წამალი გამომიწერა, თვეში დაახლოებით 70 ევრო მჭირდება, ჩემი შვილები რომ არა, არ ვიცი, როგორ შევძლებდი გადახდას, – ამბობს ნანა შუკაკიძე.

რეპორტაჟის ავტორის თქმით, სწორედ ამ მიზეზით, მთავრობამ თურქეთის ბაზრისთვის ეროვნული სექტორის გახსნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რის შედეგადაც მედიკამენტების დეფიციტი აღმოიფხვრება.

„ევრონიუსის“ რეპორტიორის თქმით, საქართველოს მთავრობა კომპანიებს მოუწოდებს, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ თურქული მედიკამენტები. სიუჟეტი ევრონიუსის ვებ-გვერდზე ესპანურსა და ფრანგულ ენებზეა ხელმისაწვდომი.

ელენე ხოშტარია: „მიხეილ სააკაშვილის მიმართ რაც ხორციელდება, არავის არ უნდა აძლევდეს მოსვენებას“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებაში პარტია „დროს“ ლიდერმა ელენე ხოშტარიამ მოინახულა.

ელენე ხოშტარიას განცხადებით, ის „უფლებების დარღვევა, რაც მიხეილ სააკაშვილის მიმართ ხორციელდება, არავის მოსვენებას არ უნდა აძლევდეს“ და წარმოუდგენელია, რომ მსგავსი კანონდარღვევები ხდება, მით უმეტეს, ყოფილი პრეზიდენტის მიმართ.

– ამასთან კომუნიკაცია რეგულარულად მაქვს. ექიმი არ ვარ, მაგრამ კვალი შიმშილობის თუ არაადამიანური მოპყრობის, რომელშიც იმყოფებოდა და იმყოფება, კვლავ არის და ასევე პრობლემები გრძელდება კვებასთან დაკავშირებით. ამაზე ალბათ, ექიმებმა უკეთ უნდა ისაუბრონ, თუმცა, სამწუხაროდ, აქაც მისი უფლებები ირღვევა და მათ სააკაშვილთან კომუნიკაციის საშუალება არ აქვთ, – აღნიშნა ელენე ხოშტარიამ.

მიხეილ სააკაშვილს შეხვდა მისი უფლებადამცველი დიმიტრი საძაგლიშვილიც.

ადვოკატის ინფორმაციით, მესამე პრეზიდენტს კვლავ არ ეძლევა ადეკვატური მკურნალობის მიღების შესაძლებლობა და მის პირად ექიმს რუსთავის ციხეში არ უშვებენ.

– არსებობს არაერთი, მათ შორის სახალხო დამცველის მიერ შექმნილი კონსილიუმის დასკვნა, რომ პრეზიდენტს უნდა ჩაუტარდეს გარკვეული სახის სამედიცინო სერვისები. ამ სერვისების ჩატარება რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებაში შეუძლებელია და ამის საჭიროება, ბუნებრივია, ხელისუფლების მხრიდან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებით არის გამოწვეული, – აღნიშნა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„სააკაშვილის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა წამება არ არის“

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალებს ხელისუფლებაში მობრუნება არ სურთ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ნაციონალური მოძრაობამ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა დაარეგისტრირა. ხატია დეკანოიძის განცხადებით, პროცედურულ წინააღმდეგობებს ელოდებიან. როგორ ფიქრობთ, შეიქმნება ეს კომისია?

– გააჩნია, რეალურად რა მოხდა. რაც კადრებში ჩანს, იქ წამება არ არის. სააკაშვილის ციხეში როგორი იყო წამება, ეს ბევრმა იცის. დამამცირებელი მოპყრობა წამება არ არის. თუმცა, რასაკვირველია, ამას გამართლება არ აქვს.

გავრცელებული ვიდეო კადრების მიღმა თუ რაღაც ხდებოდა, მაშინ „ოცნება“ ეცდება, თავი აარიდოს საპარლამენტო კომისიის შექმნას. თუ პირიქით არის და დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება, მაშინ მმართველი პარტიის ინტერესებშია შექმნას საგამოძიებო კომისია და დაამტკიცოს, რომ სააკაშვილის მიმართ წამებას ადგილი არ ჰქონია.

– რა არის დღეს ოპოზიციის მთავარი პრობლემა? რამდენად აცნობიერებს ოპოზიცია, რომ ის დაშორდა თავისი ამომრჩევლის პრობლემას, საზოგადოების პრობლემას?

– აბსოლუტურად გეთანხმებით. ოპოზიცია დაშორდა თავის ამომრჩეველსა და მის პრობლემას. კონკრეტულად ნაციონალურ მოძრაობაზე რომ გითხრათ, მათ გადაწყვიტეს საკუთარი ამომრჩევლის შენარჩუნება, რომელიც მას მხარს სააკაშვილის ქარიზმის წყალობით უჭერს. ადამიანების ამ ნაწილს სააკაშვილი უყვარს. თვლიან, რომ ის ყველაფერში სწორი და მართალია. ამდენად უჭერენ მხარს ჯერ სააკაშვილს და შემდეგ ნაციონალურ მოძრაობას. ამიტომ, ამომრჩევლის ამ ჯგუფის და არა მთელი მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილება გაიხადა მთავარ მიზნად. ის ამ კონკრეტული სეგმენტის პარტიად იქცა. სააკაშვილის მომხრეთა პარტიად გადაიქცა და ამ ფარგლებს არ სცდება. ეს ნაწილობრივ სწორიც არის, რადგან ვინც დისტანცირება მოახდინა სააკაშვილის სახელისგან, მაგალითად, „ევროპულმა საქართველომ“ „სტრატეგია აღმაშენებელმა“ და სხვებმა, 3-4%-ზე მეტს ვერ აგროვებენ. თუმცა, რაც შეეხება უფრო მეტი მხარდაჭერის მოპოვებას მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ეს ალბათ რთულია ნაციონალური მოძრაობისთვის. ამიტომ მოქმედებენ ხაზგასმით თავიანთი ამომრჩევლის შენარჩუნებისთვის.

– თუ მიზანი ხელისუფლებაში დაბრუნებაა, ეს ამომრჩეველი მათ არ ჰყოფნით. მაშინ რა არის მათი მიზანი?

– შესანიშნავი კითხვაა. ეს კითხვა ისმის 2012 წლის მერე. სულ სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო ნაციონალური მოძრაობა თუ მიზანი ხელისუფლებაში რეალურად დაბრუნება იქნებოდა. თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდე, არ გამოვრიცხავ, მარტივი მიზანი იყოს ამ ამომრჩევლის შენარჩუნებით ანუ ამ პოზიციით, საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვება. თუ ნაციონალური მოძრაობა იტყვის, მე არ მაინტერესებს ხელისუფლებაში მობრუნებაო, იმ წუთში დაკარგავს მის ამომრჩეველს. ამომრჩევლის ამ ნაწილს სახელისუფლო რევანში სურს და ეს კარგად ჩანს სოციალურ ქსელებში. ამიტომ, მათ ეუბნება, რომ ხელისუფლებაში უნდა დაბრუნება, მაგრამ ამისთვის არაფერს არ აკეთებს.

– რაც შეეხება ოპოზიციის დანარჩენ ნაწილს, მათი მიზანი რა არის?

– დღეს ოპოზიციაში სხვადასხვა სეგმენტია სხვადასხვა ინტერესებით. „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებით უფრო არის გამოხატული, მაგალითად, „ლელოს“ მოქმედება. რაც შეეხება მეორე ნაწილს, იგივე „სტრატეგია აღმაშენებელს“ და კიდევ სხვებს, რომლებმაც ღიად თქვეს, სააკაშვილის საკითხი ოპოზიციისთვის წამყვანი თემა არ უნდა გახდეს.

თუ სააკაშვილის თემა ოპოზიციისთვის წამყვანი საკითხი იქნება და ამით შემოიფარგლებიან, მაშინ ამით მხოლოდ სააკაშვილის მომხრეების გულს მოიგებენ და არა იმ ადამიანების, რომლებსაც რეალური პრობლემები აქვთ.

– თუნდაც ელექტროენერგიის გადასახდი გაუძვირდათ, ტრანსპორტის ფასი გაუძვირდათ?

– დიახ, დიახ. ადამიანებს, რომლებსაც სოციალური პრობლემები აქვთ და მის მოგვარებას ითხოვენ. კიდევ ერთი საკითხია: სააკაშვილის პრობლემა თუ გახდება მთელი ოპოზიციის პრობლემა, ეს ხმებს მოუტანს მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას, დანარჩენები კი ხმებს დაკარგავენ. ელემენტარული ლოგიკაა: ადამიანები არჩევნებზე უბრალოდ არ მივლენ, რადგან ვერ დაინახავენ თავისიან პარტიას, იმ პარტიას, რომელზეც არჩევანს გააკეთებენ, თავიანთი პრობლემების იდენტიფიცირებას ვერ მოახდენენ. საქართველოში ხომ არჩევნები კონცეფციების, იდეების ჭიდილი არ არის. ჩვენთან არჩევნების მთელი კონცეფცია ერთმანეთის ლანძღვასა და გინებაზეა აგებული. სამწუხაროდ, ამომრჩეველსაც ოპოზიციონერი ის ჰგონია, ვინც უფრო მეტად აგინებს ხელისუფლებას. ის კი არა, ვინც იდეებში ეჯიბრება ხელისუფლებას, არამედ ის, ვინც უფრო ძლიერად აგინებს.

უკრაინის საზღვართან ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება?

როგორ თანამშრომლობენ რუსეთთან გერმანია და საფრანგეთი

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის გარშემო მიმდინარე მოვლენები უშუალოდ უკავშირდება საქართველოს. ანალიტიკოსების აზრით, უკრაინის საზღვართან მასშტაბური პროცესები მიმდინარეობს. პოლონელი ექსპერტების შეფასებით, უკრაინის საზღვართან წარმოქმნილი დაძაბულობა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების დაწყების სიმბოლოა. ავტორების მოსაზრებით, ამ პროცესში გერმანიას განსაკუთრებული როლი ეკისრება. კერძოდ, გერმანია წარმოადგენს პუტინის ტროას ცხენს ევროპაში. არ არის გამორიცხული, რომ გერმანია კიდევ ერთხელ დაესხას თავს პოლონეთს, – ასკვნიან პოლონეთში.

აღიარებს თუ არა რუსეთი ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობას“

პოლონეთში გრძელდება მღელვარება გერმანიის პოზიციის გამო. ბერლინმა უარი განაცხადა უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მოწოდებაზე. ამასთან, მიუთითა, რომ უკრაინის მხარდამჭერია.

საკითხს ანალიტიკოსების გარდა ეხმაურება ევროდეპუტატი, პოლონეთის ყოფილი საგარეო მინისტრი რადოსლავ სიკორსკი. მისი თქმით, ის, ვინც ეწინააღმდეგება უკრაინისათვის იარაღის მიწოდებას, ომის მომხრეა. სიკორსკის აზრით, გერმანიამ არასწორი დასკვნები გამოიტანა საკუთარი ისტორიიდან.

– უკრაინას იარაღით ამარაგებენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთის მეზობელი პატარა სახელმწიფოები, მაგრამ არა – გერმანია.

ცნობილია, რომ გერმანიას და რუსეთს ერთმანეთთან სხვა სახის თანამშრომლობის გარდა, აკავშირებს „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის გაზსადენი. მილსადენი აშენებულია, მაგრამ არ არის სერტიფიცირებული. მისი ექსპლუატაცია არ დაწყებულა.

პოლონეთის პრემიერმა მატეუშ მორავეცკიმ, რომელიც ბრიტანელ კოლეგასთან ერთად კიევში იმყოფებოდა, მოუწოდა გერმანიის მთავრობას, არ გასცეს დოკუმენტები გაზსადენის სასერტიფიკაციოდ.

„ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის გაჩერება დასავლეთში განიხილება ერთ-ერთ მომავალ სანქციად რუსეთის წინააღმდეგ, რომელსაც ფაქტობრივად ალყაში ჰყავს მოქცეული უკრაინა.

გერმანული მედიის აზრით, რუსეთის მიმართ თანმიმდევრული პოლიტიკა უნდა გატარდეს. არ შეიძლება რუსეთთან დაკავშირებული სხვა პროექტების დატოვება იმ დროს, როცა აჩერებ „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ს.

სხვა პროექტებში იგულისხმება ის, რომ რუსეთი საფრანგეთთან ერთად გერმანიის ქალაქ ლინჰენში აშენებს ურანის გადამამუშავებელ ქარხანას. ქარხანა ორივე მხარეს მოამარაგებს ბირთვული რეაქტორებისათვის აუცილებელი ღერძებით. ქარხნის წინააღმდეგ გამოდიან გერმანელი მწვანეები. გერმანიის ეკონომიკის მინისტრი ყოყმანობს, ვინაიდან საფრანგეთიდან ატომური ენერგია გერმანიასაც ხმარდება და ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს გერმანიის ენერგომომარაგებაში.

საქართველოში ბევრს აინტერესებს, აღიარებს თუ არა რუსეთი საქართველოს რეგიონების მსგავსად ლუგანსკისა და დონეცკის „დამოუკიდებლობას“.

ამაზე ოფიციალური განცხადებები არ გაკეთებულა. დაახლოებით ორ კვირაში ამ საკითხის განხილვას გეგმავს რუსეთის სახელმწიფო დუმის საბჭო. საკითხის განხილვის ინიციატორები არიან რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის დეპუტატები. რუსული პარლამენტის კომუნისტ წევრებს ასეთი ახსნა აქვთ: „ამგვარი აღიარება უზრუნველყოფს უსაფრთხოების გარანტიებს და დაიცავს ამ რესპუბლიკების მოსახლეობას საგარეო საფრთხეებისა და გენოციდის პოლიტიკის რეალიზაციისაგან“.

ამ ეტაპზე უკრაინის ჯარი კი ხოცავს დონბასის მოსახლეობას, რუსეთის ჯარია მობილიზებული უკრაინის საზღვართან, მათ შორის, ბელარუსის ტერიტორიაზე. რუსეთს ამ მობილიზაციამ უკვე დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა.

ლევან იოსელიანი: „არასდროს მექნება სასირცხვილო, რომ უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას დავუჭირე მხარი“

– ვფიქრობ, რომ ზედმეტი ისტერიკა რეზოლუციის ირგვლივ იყო ძალიან დამაზიანებელი მთლიანად პროცესისთვის, – ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან იოსელიანმა.

როგორც მან აღნიშნა, როდესაც ასეთ რეზოლუციაზე არის საუბარი, მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება შინაარსიდან გამომდინარე იქნას მიღებული.

– მესმის, რომ მედიაში, ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიაში ჩამოაყალიბეს ნარატივი, რომ მხარდაჭერა იქნებოდა კაპიტულანტური მოქმედება ან „ქართულ ოცნებასთან“ მარცხი და, სამწუხაროდ, ბევრი ოპოზიციური პარტია ამის გავლენის ქვეშ მოექცა. სიმართლე გითხრათ, მეც არ მომწონს ეს ტექსტი, მაგრამ ის თუ მხარს უჭერს უკრაინას, ხაზს უსვამს მის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს და ხაზს უსვამს, რომ მშვიდობა არის აუცილებელი, საბოლოო ჯამში, ეს არის მხარდამჭერი ტექსტი და ამისთვის მხარდაჭერა იყო სწორი გადაწყვეტილება. ნამდვილად არასდროს მექნება სასირცხვილო, რომ უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას დავუჭირე მხარი.

მე, ალეკო (ელისაშვილი) და ბევრი სხვა ოპოზიციონერი ვცდილობდით, რომ ტექსტში გაჩენილიყო ჩანაწერი რუსეთის შესახებ. ამისთვის არ დავიშურეთ ძალები. ამის შესახებ გამოსვლები გვქონდა პარლამენტში და ვთხოვდით, რომ განხილვები გადაედოთ და გაგვეგრძელებინა კონსულტაციები, მაგრამ ვერ შეთანხმდა ეს საკითხი და „ქართულმა ოცნებამ“ ჯიუტად დაიკავა არასწორი პოზიცია. „ქართული ოცნება“ ამ საკითხზე გაჯიუტდა. მგონია, ეს რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაუთავებელი ქიშპობის პოლიტიკის ნაწილია და შიდა პოლიტიკამ გადაფარა უფრო მნიშვნელოვანი საკითხი. ეს ჩანაწერი რომ გაჩენილიყო ტექსტში, ყველა ვთანხმდებით, რომ ტექსტის დანარჩენ ნაწილზე არავის ჰქონდა პრობლემა. „ქართულმა ოცნებამ“ გამოიჩინა სიჯიუტე, აბსოლუტურად არასწორად მოიქცა, რომ რუსეთის ფედერაცია არ ახსენა ამ ტექსტში და წარმოადგინა იმ ფორმით, რაც ვიხილეთ. საბოლოო ჯამში, ტექსტის შინაარსი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კინკლაობა, – განაცხადა იოსელიანმა.

„ევროპული საქართველო“ საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმებას მოითხოვს

„ევროპული საქართველო“ საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმებას მოითხოვს. როგორც პარტიის ლიდერმა, გიგა ბოკერიამ ბრიფინგზე აღნიშნა, ფასების მკვეთრად ზრდა, მათ შორის საწვავზე, ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია.

– ახლა ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი არის საწვავის ფასი, რაზეც არის პროგნოზი, რომ ის კიდევ 20 თეთრით გაიზრდება. მთავრობა ხელს საერთაშორისო პროცესებისკენ, საერთაშორისო ფასებისკენ იშვერს, რაც ნაწილობრივ სიმართლეა, საერთაშორისო ფასებზე ჩვენ ვერ ვახდენთ გავლენას. როგორი იყო ლარის კურსი „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისას, როგორი იყო მაშინ საერთაშორისო ფასი საშუალოდ ბენზინზე დოლარში და შეგიძლიათ ნახოთ, რა ვითარებაა ახლა. ახლა შეგვიძლია მარტივად დავითვალოთ, რა იქნებოდა დღეს საწვავის ფასი, რომ არა ივანიშვილის პოლიტიკა, რომ არა ლარის გაუფასურება და რომ არა გადასახადის ზრდა, რომელიც ამ რეჟიმმა 2016 წელს გაზარდა. ახლა 3 ლარსა და 20 თეთრზე მეტი იქნება მალე საწვავზე სავარაუდოდ საშუალო ფასი. რეალურად, ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო 1,5 ლარზე ოდნავ მეტი გვქონოდა ფასი, – განაცხადა ბოკერიამ.

მისი განმარტებით, იმისთვის, რომ საწვავის ფასი შემცირდეს, აქციზის გადასახადი სწრაფად უნდა გაუქმდეს.

– შეგვიძლია აქციზი სწრაფად გავაუქმოთ და მყისიერად მივიღებთ იმ შედეგს, რომ 2 ლარსა და 80 თეთრამდე დაეცემა ფასი. ეს არ არის დაპირება, რომ რაღაც ციდან ჩამოვარდება, როგორც ივანიშვილის რეჟიმი ჰპირდებოდა რაღაც ზღაპრებს ხალხს, როგორც ოპოზიციაში ყოფნისას, ასევე ხელისუფლებაში მოსვლისას. კონკრეტული ნაბიჯია, რომლის გადადგმასაც მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება. „ევროპული საქართველოს“ ამოცანაა, ჩვენს მოქალაქეებამდე მივიტანოთ ძალიან მკაფიო გზავნილი, რომ თავი დაანებონ კერძო ბიზნესის სამიზნეში ამოღებას და ბენზინგასამართ სადგურებთან აქციებს. სამიზნე უნდა იყოს მთავრობა. ჩვენ ეს გზავნილი 1 წლის წინ გვქონდა და ვპროგნოზირებდით, რომ მდგომარეობა დამძიმდებოდა. გამოსავალი არის მხოლოდ ზეწოლა ამ სამარცხვინო და პოლიტიკურად არალეგიტიმურ მთავრობაზე, იქნებ შეეშინდეთ და ვაიძულოთ, რომ კონკრეტული ნაბიჯი გადადგან. კერძო ბიზნესის სამიზნეში ამოღება ქვეყნისთვის მხოლოდ ზიანის მომტანია, – განაცხადა ბოკერიამ.

ქადაგიშვილი: „რა გვინდა, რუსეთის აგრესიის ნაწილი საქართველოსკენ მოვმართოთ?!“

– ჩვენ უკრაინასთან დაკავშირებულ კონფლიქტში შუბის წვერზე არ უნდა ვიყოთ – რა გვინდა, რუსეთის აგრესიის ნაწილი საქართველოსკენ მოვმართოთ?! – ამბობს მმართველი გუნდის დეპუტატი, ირაკლი ქადაგიშვილი, „ოცნების“ იმ რეზოლუციაზე საუბრისას, რომელიც 1-ელ თებერვალს მიიღეს და სადაც რუსეთი ნახსენები არაა.

ქადაგიშვილი ირწმუნება, რომ საქართველო ხელისუფლება ქვეყნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მუშაობს და ქვეყნის პარტნიორებთან მჭიდრო კავშირი აქვს.

– ჩვენ უკრაინასთან დაკავშირებულ კონფლიქტში შუბის წვერზე არ უნდა ვიყოთ – რა გვინდა, რუსეთის აგრესიის ნაწილი საქართველოსკენ მოვმართოთ?! არავისი გვეშინია, მაგრამ გვეშინია იმის, რომ ისეთი ფატალური შეცდომები, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაიდინა, არ გავიმეოროთ, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

„ძვლები სულ მტკივა, ძირს რომ დამაგდებდა, ზედვე მახტებოდა ხოლმე... მზად ვიყავი მომეკლა“

შვილის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ 82 წლის მამას პატიმრობა შეუფარდა

გორის რაიონულმა სასამართლომ შვილის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ 82 წლის კარლო მეგრელიშვილს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

შვილის დაჭრაში ბრალდებულმა 82 წლის კაცმა, კარლო მეგრელიშვილმა, დანაშაული აღიარა და მოსამართლეს სასამართლო პროცესზე თავზე მიყენებული დაზიანებაც აჩვენა.

ბრალდებული აცხადებს, რომ შვილის მხრიდან მუდმივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყო, აგდებდა სახლიდან და ხშირად ეჩხუბებოდა:

– ეს ძვლები სულ მტკივა, ძირს რომ დამაგდებდა, ზედვე მახტებოდა ხოლმე... არაფრად არ მაგდებდა, მეუბნებოდა, გაეთრიე ჩემი სახლიდანო... მზად ვიყავი მომეკლა, ამომასხა, თავმოყვარეობა მქონდა მეც...

ჩემმა შვილებმა ხარჯი რომ არ გასწიონ, ან რამე, დავჯდები, ვიჯდები ციხეში, რამდენ ხანსაც მომიწევს – მიმართა მან მოსამართლეს.

ბრალდებულის ადვოკატმა თამარ თედლიაშვილმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს არასაპატიმრო პირობები შეფარდებოდა და გამოძიების დასრულებამდე, 10 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებულიყო, თუმცა, მოსამართლემ ბრალდების მხარის პოზიცია გაიზიარა და ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, როგორც თავად აცხადებს, წლების განმავლობაში იყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, მის მიმართ ძალადობას სისტემატური სახე ჰქონდა, როდესაც ძალადობას ვამბობ, ვგულისხმობ ფიზიკურსაც. ამის დასტურად ბრალდებულმა მოსამართლეს თავის არეში მიყენებული დაზიანებებიც აჩვენა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის და დაზიანებების ხარისხის შესაფასებლად დაინიშნა ექსპერტიზაც. დავაყენე შუამდგომლობა, რომ მომხდარიყო არასაპატიმრო პირობების შეფარდება, ამის მოტივად რამდენიმე მყარი არგუმენტიც დავასახელე, თუმცა, სამწუხაროდ, სასამართლომ ჩვენი პოზიცია არ გაიზიარა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აცხადებს, რომ მან ეს დანაშაული აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა, უნდოდა, რომ მისთვის მხოლოდ ტკივილი მიეყენებინა, აფექტის გამო ვერ გაიაზრა, რა სახის დაზიანებები შეიძლებოდა მიეღო დაზარალებულს, – განაცხადა თამარ თედლიაშვილმა.

ცნობისთვის, დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დრომდე კრიტიკულია.

შეგახსენებთ, შემთხვევა 30 იანვარს, საღამო საათებში გორში მოხდა.

47 წლის შვილის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით პოლიციამ 82 წლის მამა მალევე დააკავა. ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 19 -109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

82 წლის მოხუცს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

პროკურორი: „5 ივლისს, ყველა ჟურნალისტის, ოპერატორის და ფოტოგრაფის მიმართ ახორციელებდნენ ძალადობრივ ქმედებებს“

პროკურორ გრიგოლ ნიშნიანიძის განცხადებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები 5 ივლისს ჟურნალისტების ცემის ფაქტზე ბრალდებულების დანაშაულს ადასტურებს.

გრიგოლ ნიშნიანიძე

როგორც პროკურორმა ჟურნალისტებს თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადა, დღევანდელ სხდომას 7 ბრალდებული ესწრებოდა, სადაც ბრალდების მხარის მტკიცებულებები გამოიკვლიეს.

გრიგოლ ნიშნიანიძის განმარტებით, სხდომაზე არაერთი მოწმე დაიკითხა, თითოეულმა მათგანმა ცალსახად დააფიქსირა, თუ ვინ განახორციელა ძალადობრივი ქმედებები მედის წარმომადგენლებზე: ილია თვალიაშვილზე, ზურაბ ცერცვაძესა და ვახტანგ ქარელზე.

მოწმეებმა გაიხსენეს ფაქტები, რაც მათთვის იყო ცნობილი, დაადასტურეს, როგორ და რა ვითარებაში იძალადეს ჟურნალისტებზე და

როგორ შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელი. აქედან გამომდინარე, ნიშნიანიძის თქმით, ბრალდების მხარის მიერ კიდევ ერთი დამატებითი მტკიცებულებები იყო დღეს გამოკვლეული, რაც ცალსახად ადასტურებს თითოეული ბრალდებულის დანაშაულს.

– მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია შემდეგი გარემოება, სწორედ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ჟურნალისტები, მათზე განახორციელეს ძალადობრივი ქმედებები, შესაძლებლობა არ მისცეს შეესრულებინათ პროფესიული მოვალეობა. ყველა ჟურნალისტის, ოპერატორისა და ფოტოგრაფის მიმართ ერთი და იგივე მიდგომა ჰქონდათ, ყველას მიმართ ახორციელებდნენ ძალადობრივ ქმედებებს. ეს ყველაფერი კადრებით არის აღბეჭდილი, რაც ნახეს სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა, – აცხადებს გრიგოლ ნიშნიანიძე.

პროკურორის თქმით, საქმეზე მტკიცებულებების გამოკვლევა გრძელდება, შემდეგ პროცესებზეც მოწმეები დაიკითხებიან.

ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე ბრალდებული სამივე პირი მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა

თბილისის საქალაქო სასამართლოში ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა. სხდომას სამივე ბრალდებული ბექა ლატარია, ბიძინა ხასია და ლევან რაჯავი დაესწრნენ.

დაცვის მხარემ სასამართლოს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შუამდგომლობით მიმართა. ადვოკატის თქმით, საუბარია საგამოძიებო მოქმედებებისას ხასიას ფარულად ჩაწერაზე, საქმეში არსებულ ავტომობილებზე და ხასიას სახლის ჩხრეკისას ამოღებულ ტელეფონებზე, რომელიც მის მეუღლესა და შვილს ეკუთვნის.

დაცვის მხარე აღნიშნავს, რომ მტკიცებულებები კანონდარღვევითაა მოპოვებული. რაც შეეხება ბრალდების მხარეს, სხდომაზე პროკურორმაც დააყენა დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საკითხი. მან ბრალდებულების ბრალეულობაზე ისაუბრა და მათ შორის, ხაზი გაუსვა დაკავებულთა მხრიდან წარსულში ნარკოტიკული საშუალების კულტივირებაზე, რა დროსაც ერთ-ერთმა ბრალდებულმა რეპლიკის სახით სხდომაზე აღნიშნა – „ციხეში დავთესავ“.

პროცესზე ადვოკატებმა სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების შეცვლა და გირაოს შეფარდების შუამდგომლობა დააყენეს. კერძოდ კი, ბიძინა ხასიას შემთხვევაში 20.000 ლარიანი გირაო, ლევან რაჯავის შემთხვევაში 10.000 ლარი, ხოლო ბექა ლატარიას შემთხვევაში 15.000 ლარი.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, ბექა ლატარიას მიმართ ხორციელდება ზეწოლა და „საქმე თეთრი ძაფითაა ნაკერი“.

პროკურორის განმარტებით კი, სამივე ბრალდებულის მიმართ პატიმრობა ძალაში უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებებზე: საკმარისი მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რაც ასაბუთებს იმას, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს, არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულებს ბალი დაუმძიმდათ. ასევე არსებობს მოწმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებების განადგურებისა და მიმალვის საფრთხეები. აქედან გამომდინარე, პროკურორის თქმით, არც ერთი ბრალდებულის მიმართ არ არსებობს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი.

მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ გაითვალისწინა და ბრალდებულების მიმართ პატიმრობა ძალაში დატოვა.

ცნობისთვის, ანასტასია შატალოვა თბილისში, საბურთალოზე 18 ოქტომბერს მოკლეს. აღნიშნულთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა ბექა ლატარია, ბიძინა ხასია და ლევან რაჯავი დააკავეს.

ბექა ლატარიას ბრალი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის მუხლით აქვს წარდგენილი. ბიძინა ხასიას გამოძიება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვას, პოლიციელების სიცოცხლის მოსპობის მცდელობისთვის და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება. ლევან რაჯავს გამოძიება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას და ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვას ედავება.

ანტიკორუფციულმა სააგენტომ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ოთხი თანამშრომელი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ოთხი თანამშრომელი დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, დაკავებულებს ბრალად ქრთამის აღების და თაღლითობის მცდელობა ედებათ.

– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა გატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან და საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ქრთამის აღების და თაღლითობის მცდელობის ფაქტზე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ოთხი თანამშრომელი დააკავეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ხსენებული პირები თანამდებობრივი უფლება-მოვალეობის შესრულების სანაცვლოდ სხვადასხვა პირებისგან ქრთამის სახით იღებდნენ ფულად თანხას. ამ ეტაპზე იდენტიფიცირებულია რამდენიმე ათეული პირი, რომლებმაც სამსახურებრივი მფარველობისათვის ერთობლივად ან ცალ-ცალკე თანხა გადასცეს სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებს.

ზემოხსენებული ქმედების შედეგად დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი მიიღეს, რაც ურთიერთშორის გაინაწილეს.

გამოძიება ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მოსამართლემ პირს Facebook-ზე გამოქვეყნებული საჯარო პოსტის Only Me-ზე გადაყვანა დაავალა

JG Counselors-ის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხეს დაავალა Facebook-ზე გავრცელებული საჯარო პოსტი Only Me-ზე გადაეყვანა. მოსარჩელეს ადვოკატი სერგი ჯორბენაძე წარმოადგენდა.



არსებული ინფორმაციით, პირმა სასამართლოს მის შესახებ ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მიმართა.

მოპასუხეს ასევე დაევალა YouTube-ზე განთავსებული ვიდეოს საჯაროობის შეზღუდვა.

სასამართლომ ასევე დაკმაყოფილა მოთხოვნა, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა თავისი Facebook Account-ის (ანგარიშის) წაშლა.

სასამართლომ გადაწყვეტილება პირველ თებერვალს მიიღო.

შეგახსენებთ: ეს არ არის პირველი საქმე, როდესაც სასამართლო სოციალურ მედიაში ცილისწამების უარყოფის მოთხოვნას განიხილავს.

თურქეთის ხელისუფლება საბერძნეთს საზღვარზე 12 მიგრანტის სიკვდილში სდებს ბრალს

თურქეთის ხელისუფლება საბერძნეთის საზღვარზე 12 მიგრანტის სიკვდილში სდებს ბრალს, საბერძნეთი კი ბრალდებებს „ცრუ პროპაგანდას“ უწოდებს.

თურქეთის ხელისუფლება საბერძნეთის ქვეყნებს შორის საზღვარზე 12 მიგრანტის სიკვდილში სდებს ბრალს.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, სულეიმან სოილუს თქმით, თურქმა მესაზღვრეებმა საბერძნეთის საზღვართან ახლოს 12 გაყინული ადამიანი იპოვეს, რომლებმაც საბერძნეთში შეღწევა სცადეს, თუმცა უკან გამოაბრუნეს.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ჩხრეკის დროს მესაზღვრეებმა მიგრანტებს ფეხსაცმლის გახდა სთხოვეს, შემდეგ კი ისინი უკან აღარ დაუბრუნეს.

სულეიმან სოილუს თქმით, მიგრანტების გაყინვაზე პასუხისმგებლობა საბერძნეთს უნდა დაეკისროს.

ოფიციალურმა ათენმა თურქეთის ბრალდებას „ცრუ პროპაგანდა“ უწოდა. ბოლო მონაცემებით, თურქეთის ლტოლვილთა ბანაკებში ამ დროისთვის 4 მილიონზე მეტი მიგრანტი ცხოვრობს. მათი უმეტესობა სირიიდან და ავღანეთიდან არიან.

ჯო ბაიდენი უახლოეს მომავალში ევროპაში 3.000 ამერიკელ ჯარისკაცს გაგზავნის



აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი უახლოეს მომავალში ევროპაში 3 000 ამერიკელ ჯარისკაცს გაგზავნის.

მედიის ინფორმაციით, მიმდინარე კვირაში 2 000 ჯარისკაცი გერმანიასა და პოლონეთში, მათ შემდეგ კი რამდენიმე დღეში 1.000 ქვეითი რუმინეთში გაიგზავნება.

გასულ თვეში აშშ-ში 8.500-ზე მეტი სამხედრო მზადყოფნის რეჟიმში მოიყვანეს, რათა საჭიროების შემთხვევაში ევროპაში გადაესროლათ. თეთრი სახლის ინფორმაციით, ჯარისკაცების ევროპაში გაგზავნის მთავარი მოტივი უკრაინის კრიზისი და ევროპის რუსული საფრთხისგან დაცვაა.

კონგოში შეიარაღებული პირების თავდასხმას 60 ადამიანი ემსხვერპლა

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიარაღებული პირების თავდასხმას მინიმუმ 60 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, – ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, თავდასხმა იტურის პროვინციაში, იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკში მოხდა და მასზე პასუხისმგებელი გასამხედროებული შენაერთი CODECO-ია.

გაეროს მონაცემების თანახმად, CODECO-ის მებრძოლებმა ბოლო წლების განმავლობაში იტურის პროვინციაში ასობით სამოქალაქო პირი მოკლეს, ათასობით ადამიანი კი აიძულეს, საკუთარი სახლი დაეტოვებინა.

ინდოეთში, ქვანახშირის მაღაროში მომხდარი ჩამონგრევის შედეგად, 5 ადამიანი დაიღუპა

ინდოეთში, ჯარხანდის შტატში ქვანახშირის მაღაროში ნარჩენების გროვის ჩამოშლის შედეგად, 5 ადამიანი დაიღუპა, – ინფორმაციას რეუტერს-ი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, შემთხვევა მიტოვებულ ღია მაღაროში მოხდა, სადაც ადგილობრივები ქვანახშირის ამოღებას ცდილობდნენ.

მაღარო, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, სახელმწიფო კომპანიას ეკუთვნის.

პოლიციის ინფორმაციით, შემთხვევა დჰანბადის რაიონში მოხდა და დაღუპული პირები პროფესიონალი მეშახტეები არ არიან.

თურქეთმა ერაყსა და სირიაში ქურთი „ბოევიკების“ წინააღმდეგ ავიაიერიშები განახორციელა

თურქეთის სამხედრო თვითმფრინავებმა ერაყსა და ჩრდილოეთ სირიაში ქურთი „ბოევიკების“ სამიზნეების წინააღმდეგ ავიაიერიშები განახორციელეს, – მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აკარმა განაცხადა.

მისი თქმით, სამიზნეებს შორის იყო საწვრთნელი ბანაკები, თავშესაფრები და საბრძოლო მასალის შესანახი ადგილები. „დარტყმა მხოლოდ ტერორისტებსა და ტერორისტების კუთვნილ სამიზნეებზე განხორციელდა. ტერორისტებს თავზე ჩამოვაქციეთ მათი თავშესაფრები, ბუნკერები, გამოქვაბულები“ – განაცხადა თურქეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა.

მისი თქმით, ოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია „ბევრი ტერორისტი“. თურქეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ოპერაციის სამიზნე იყვნენ ქურთისტანის მუშათა პარტიის „ბოევიკები“, რომლებსაც ბაზები ერაყში აქვთ და ასევე სირიაში მოქმედი გასამხედროებული „ხალხთა დაცვის რაზმები“.

ტოკიოში კორონავირუსის შემთხვევათა რაოდენობამ 20 000-ს პირველად გადააჭარბა

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში კორონავირუსის შემთხვევათა რაოდენობამ 20 000-ს პირველად გადააჭარბა.

მედიის ინფორმაციით, კორონავირუსის შემთხვევების ზრდა „ომიკრონ“ ვარიანტთან არის დაკავშირებული. ამასთან, იაპონიაში ბოლო 24 საათში კორონავირუსით 91 760 ადამიანი დაინფიცირდა, რაც წინა დღეებთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია, ქვეყნის 18 პრეფექტურაში კი ინფიცირების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა.

იაპონიის მთავრობის კაბინეტის მთავარი მდივნის ჰიროკაზუ მაცუნოს თქმით, ქვეყანაში ახალი რეგულაციების დაწესება და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება დღის წესრიგში არ დგას.

ბოლო მონაცემებით, იაპონიის მოსახლეობის 79.3% ვაქცინის 2 დოზით არის აცრილი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პამბურგის მწვრთნელი ჩაკვეტაძეს აქებს

მას შემდეგ, რაც ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი იმედი გიორგი ჩაკვეტაძე ბელგიური გენტიდან გერმანულ ჰამბურგში იჯარით გადავიდა, ყურადღების ქვეშ არა მარტო საქართველოში, არამედ გერმანიაშიც მოექცა.

ბოლო პერიოდში ჩაკვეტაძეზე ბევრი იწერება, მაგრამ მთავარი ალბათ ჰამბურგელთა მთავარი მწვრთნელი ტიმ ვალტერია, რომელმაც 22 წლის ქართველ ნახევარმცველზე საკმაოდ დადებითად ისაუბრა.

ტიმ ვალტერი:

– როდესაც ბურთი ჩაკვეტაძეს აქვს, უდავოდ კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ართმევაზე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. ამ კომპონენტზე უფრო მეტი უნდა იმუშაოს. თუმცა, ყველა ხედავს, რომ გიორგის სწავლის სურვილი გააჩნია. ჩემთვის მონდომება ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩაკვეტაძემ ერთი ვარჯიში გააცდინა და ბელგიაში ჩავიდა, რადგან ყველა დოკუმენტაცია ბოლომდე მზად არ იყო. სავარაუდოდ, უახლოეს მატჩში დარმშტადტთან ჩაკვეტაძე ძირითად შემადგენლობაში არ იქნება, მაგრამ შეცვლაზე აუცილებლად შევა.

– მიმაჩნია, რომ ჯერ მთელი მატჩის ჩასატარებლად მზად არ არის. ვფიქრობ, თუ შეცვლაზე ითამაშებს, გუნდს იმპულსებს მისცემს. იოლად შესამჩნევია, რომ ჩაკვეტაძეს დიდი ხანია, არ უთამაშია. ახლა მას უბრალოდ ცოტა მეტი ნდობა და კეთილგანწყობა სჭირდება.

ჰამბურგი მე-2 ბუნდესლიგაში მე-5 ადგილზე, მაგრამ აღზევების შანსები ჯერ არ დაუკარგავს. 6 თებერვალს ჩაკვეტაძის გუნდი ლიდერ დარმშტადტს ესტუმრება.

საქართველო პარიზში განახევრებული მიდის



საქართველოს ძიუდოისტთა გუნდი 5-6 თებერვალს პარიზში გასამართ ძიუდოს გრანდ სლემზე განახევრებული შემადგენლობით მიდის.

თავდაპირველად საქართველოს სახელით 13 სპორტსმენი უნდა გამოსულიყო, მაგრამ კოვიდ-პანდემიამ ჩვენი გუნდის მონაწილეების რაოდენობა 6-მდე შეამცირა. მიზეზი ორგვარია: ერთი დადებითი პასუხი კორონავირუსზე და მეორე საფრანგეთში დაწესებული ახალი რეგულაციები, რომლის თანახმადაც, საჭიროა ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საფრანგეთის დედაქალაქში საქართველოს სახელს დაიცავენ:

ჯაბა პაპინაშვილი (60კგ); ვაჟა მარგველაშვილი (66); ლაშა შავდათუაშვილი (73); ტატო გრიგალაშვილი (81); ბექა ღვინიაშვილი, ლუკა მაისურაძე (ორივე 90).

რაც შეეხება დანაკლისს: პარიზში ვერ იჭიდავებენ ვლადიმერ ახალკაცი (81 კგ), ილია სულამანიძე, ონისე სანებლიძე (ორივე 100 კგ), გურამ თუშიშვილი, გელა ზაალიშვილი (ორივე +100კგ).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მეგობრის რჩევამ ქალს მოგება მოუტანა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ სოლსბერის მკვიდრმა ჯეკპოტი მეგობრის რჩევის წყალობით მოხსნა.

72 წლის პენსიაზე მყოფმა მასწავლებელმა და ჩოგბურთის მწვრთნელმა ნენსი ლინმა განაცხადა, რომ ლატარიის ბილეთის ყიდვას არ აპირებდა, მეგობარს რომ არ ერჩია ამის გაკეთება.

– ჩემმა მეგობარმა გადაწყვიტა, მაღაზიაში შეევლო ბრიჯის თამაშის შემდეგ ლატარიის ბილეთის შესაძენად და მეც დამარწმუნა, მეთამაშე ლატარია. მან კონკრეტული სამდოლარიანი ბილეთიც კი მირჩია, – განაცხადა პენსიონერმა.

ლინმა იყიდა ბილეთი და აირჩია ოპცია „მოგების გამრავლება“. გათამაშების დროს ამოსული ოთხი რიცხვი ბილეთში მითითებულს დაემთხვა და ქალს 50 ათასი დოლარის მოგება მოუტანა, ხოლო არჩეული ოპციის წყალობით მისმა მოგებამ 150 ათასი დოლარი შეადგინა.

– სიხარულისგან ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ ამ ყოველივეს ვერაფრით ვიჯერებდი. დღემდე გონს ვერ მოვსულვარ, – განაცხადა გათამაშების გამარჯვებულმა, რომელიც მოგებული თანხის ნაწილით საბაზანო ოთახის შეკეთებას აპირებს, ხოლო ნაწილს ქველმოქმედებას მოახმარს.

ორი წლის ბიჭმა ოჯახი ცეცხლში დაღუპვას გადაარჩინა

ამერიკის ტეხასის შტატში ორი წლის ბიჭმა თავისი ოჯახი ხანძარში მტანჯველი დაღუპვისგან იხსნა. ის ერთადერთი იყო, ვინც ცეცხლი შენიშნა.

ცოლ-ქმარმა ნათან და კაილა დალებმა განაცხადეს, რომ 14-15 იანვრის ღამეს მათ და მათ ხუთ შვილს მშვიდად ეძინათ. რაღაც მომენტში სახლს ცეცხლი გაუჩნდა, თუმცა ცოლ-ქმარს ნამწვის სუნი არ უგრძნიათ კოვიდ-19-ით დაინფიცირების შედეგად დაკარგული ყნოსვის გამო.

დაახლოებით დილის 4:30 საათზე მშობლებთან საძინებელში შევიდა ორი წლის ბრენდონი. მან საწოლს ფეხი მიარტყა, დედა გააღვიძა და უთხრა, რომ „ცხელოდა“. ქალი მაშინვე წამოვარდა საწოლიდან, კარის ჭრილში ცეცხლის ენები შენიშნა და ქმარი გააღვიძა.

მათ მაშინვე დაიწყეს ბავშვების სახლიდან გაყვანა. როდესაც მთელი ოჯახი უსაფრთხო ადგილას ქუჩაში აღმოჩნდა, ამუშავდა სახანძრო სიგნალიზაცია. საბოლოოდ ხანძრის შედეგად ოჯახმა სახლი და ორი ავტომობილი დაკარგა, სამაგიეროდ, ბრენდონის წყალობით სიცოცხლე შეინარჩუნეს.

მამაკაცმა შიშველი ხელებით მოახერხა, ლეკვი პითონის მარწუხებისგან გაეთავისუფლებინა

ავსტრალიის ქალაქ მელბურნის მკვიდრმა შვებულების დროს ბავშვების თვალწინ მოახერხა, შიშველი ხელებით პითონის სასიკვდილო მარწუხებისგან დაეხსნა ლეკვი.

სტიუარტ ბრეიზერი ლუდს სვამდა სახლის მახლობლად, რომელიც დასვენების დროს ჰქონდა დაქირავებული. მამაკაცს მოულოდნელად ხმაური და მეზობლების ეზოდან სულისშემძვრელი ყვირილი შემოესმა.

ამ დროს ქალაქ სანშაინ-კოსტის მკვიდრმა გველებზე მონადირეებმა მიიღეს შეტყობინება ქალისგან, რომელიც აცნობებდა, რომ მათ საყვარელ ლეკვს, სახელად პანდას, ორმეტრნახევრიანი რომბისებური პითონი გუდავდა.

– სპეციალისტი ნამდვილად ვერ მოასწრებდა შემთხვევის ადგილამდე დროულად მიღწევას და მე მისთვის და მისი მეზობლისთვის მომიხდა იმის ახსნა, თუ როგორ შეიძლებოდა, სწრაფად და უსაფრთხოდ მოეშორებინათ გველი ლეკვისთვის, – განაცხადა გველებზე მონადირეთა სამსახურის წარმომადგენელმა.

ბრეიზერმა ღობესთან მიირბინა, მასზე გადახტა, ხოლო როდესაც ღობის მეორე მხარეს აღმოჩნდა, ნანახმა გააოგნა. მამაკაცმა გველს ხელი სტაცა, რომელსაც ლეკვისთვის პირის თავში ჩავლება მოესწრო.

– გველი ლეკვის კისერსა და უკანა თათებზე იყო შემოხვეული და სულ უფრო მაგრად უჭერდა. ლეკვი მთელი თავგანწირვით ცდილობდა მისი მარწუხებისგან თავის დაღწევას. მხოლოდ მუცელი მოუჩანდა და ვფიქრობდი, რომ ის დაიღუპებოდა, – აღიარა ბრეიზერმა.

მამაკაცმა გველს ხელი კუდში ჩაავლო. მან თავი მისკენ შეატრიალა და ასისინდა. საბოლოოდ მან ლეკვის გათავისუფლება მოახერხა, ხოლო პითონი გველებზე მონადირეთა მოსვლამდე ტომარაში გამოამწყვდია.

– მან შესანიშნავად იმუშავა, გველი არ დაშავებულა, ხოლო ლეკვი რამდენიმე მსუბუქი დაზიანებით გადარჩა, – განაცხადა შემთხვევის ადგილზე მისულმა გველებზე მონადირემ, რომელმაც გველი დასახლებიდან მოშორებით, ბუნებაში გაუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცმა ეკონომიის მიზნით ღორის ხორცს ნიანგისა ამჯობინა

ღორის ხორცზე ფასის ზრდით შეშფოთებულმა ტაილანდელმა ნიკი ტანსკულმა გადაწყვიტა, სიამის ნიანგების ხორცის მოხმარებაზე გადასულიყო.

აფრიკული ღორის ჭირის აფეთქების გამო ტაილანდში ამ ცხოველის ხორცის ფასი 50 პროცენტით გაიზარდა და კილოგრამი 200 ბატი გახდა. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ჩინური ახალი წლისთვის, როდესაც ტრადიციულად ღორის ხორცის კერძები მზადდება, მისმა ფასმა შესაძლოა 300 ბატს მიაღწიოს.

ეკონომიის მიზნით ნიკიმ ბანგკოკის რესტორანს მიაშურა, რომელსაც სახელი პოპულარული ტაილანდური ზღაპრის პერსონაჟის, ნიანგი ღორდის ჩალავანის პატივსაცემად დაერქვა. მან იქ ნიანგის ხორცისგან დამზადებულ რამდენიმე კერძს გაუსინჯა გემო და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ის ქათმისას ჰგავს, თუმცა უფრო რბილი გემოთი და მშრალი ტექსტურით გამოირჩევა.

– ღორის ხორცს სარგებლობა აღარ მოაქვს, – განაცხადა რესტორნის დიასახლისმა პატანაჩატ ნგამსანტამ, – მისი შემცვლელის ძებნა დავიწყე და ნიანგის ხორცი ვცადე.

ამ ცხოველის ხორცი მას 80-100 ბატი უჯდება, ანუ ღორის ხორცზე ორჯერ უფრო იაფი.

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ზაურ მახარაძე: „ქართულად ვარ გაზრდილი“

უკრაინაში დაბადებულმა ზაურ მახარაძემ 2018 წელს ბექა ვაჩიბერაძესთან ერთად საქართველოს პასპორტი მიიღო, მაგრამ ჩვენს ეროვნულ გუნდში ჯერ მატჩი არ ჩაუტარებია.

ერთ დროს უკრაინის პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ახლა უგუნდოდ არის. ბოლოს კი, იქაური პერშა ლიგის პოსელიაში გაატარა, საიდანაც უცნაურად გამოუშვეს.

ზაურ მახარაძე:

– დამირეკეს და მითხრეს, რომ ჩემი სამსახური აღარ სჭირდებოდათ. ვიცი, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელს იური კალიტვინცევს ეს არ მოეწონა. კლუბში მთავარი, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი გენადი ბუტკევიჩია. ის ენდობა მწვრთნელს. პრინციპში, პრეზიდენტი იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს. მაგრამ კლუბში არის კიდევ სხვა ხალხი – პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის. მათ ჰგონიათ, რომ ფეხბურთში ყველაფერი ესმით... მაგრამ არა უშავს, დრო ყველას განსჯის და თავის ადგილს მიუჩენს. მერე გამოჩნდება, ვინ იყო მართალი და ვინ – მტყუანი.

– კარიერის გასაგრძელებლად ქართულ კლუბებს არ განიხილავ?

– ვნახოთ, რა იქნება. წინასწარ ამის განსაზღვრა რთულია. პრიორიტეტი უკრაინული კლუბებია, მაგრამ აქ თუ არაფერი გამოვიდა, შინ ჯდომას არ ვაპირებ. შესაძლოა, საქართველოში ვითამაშო.

– საქართველოს ნაკრებში 2018 წელს გამოგიძახეს.

– რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, იყო გარკვეული პრობლემა საბუთებთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა ეს აღარ არის მნიშვნელოვანი. სასიამოვნო იყო ის პერიოდი და ჩემი თავით ამაყი ვიყავი... თუმცა, ამის შემდეგ დამეწყო კარიერული რეგრესი. ახლა რაიმეს თქმა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ საქართველოს ნაკრებში კიდევ გამომიძახებენ და შევძლებ იქ ადგილის დამკვიდრებას.

– რა პრობლემები იყო საბუთებთან დაკავშირებით?

– თავის დროზე, ვთამაშობდი უკრაინის 17-წლამდელთა ნაკრებში და როცა საქართველოს მოქალაქე გავხდი, ფიფამ აღარ მომცა საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლება. უკვე რამდენიმე წელია, ეს აკრძალვა გაუქმებულია. როგორც ვიცი, ახლა შემიძლია თამაში, მაგრამ ჩემი კარიერა ცუდად განვითარდა და ნაკრებში აღარ მიძახებენ. მე კარგად მესმის ყველაფერი, ეს ობიექტური გადაწყვეტილებაა...

– უკრაინის ნაკრებში არ მოიაზრებოდი?

– უკრაინის ნაკრებში მაშინ კიევის დინამოს, შახტარისა და ზორიას ფეხბურთელები თამაშობდნენ. კარგად ვიცოდი, რომ რთული იქნებოდა იქ მოხვედრა. მაგრამ საქმე მხოლოდ სირთულეში როდია. არც მიფიქრია, რომ საქართველოს ნაკრებში მოხვედრა უფრო მარტივი იქნებოდა. უკრაინა მიყვარს, მაგრამ თუ ავიღებთ საფეხბურთო მხარეს, თამაში საქართველოს ნაკრებში მინდოდა. ასეთი იყო ჩემი გადაწყვეტილება – წერტილი! უკრაინაში დავიბადე, აქვე გავიზარდე, ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა. მთელი ცხოვრება უკრაინაში ვარ, მაგრამ მაქვს ქართული სისხლი და ეს ახდენს გავლენას. მე ქართველად გამზარდეს!

– თავს უკრაინელად თვლი თუ ქართველად?

– ქართველად და უკრაინელად ვთვლი თავს. ასეც შემიძლია ვთქვა – ქართველი უკრაინელი. დავიბადე უკრაინაში, მაგრამ ქართული სისხლი და აღზრდა მაქვს.

საქართველომ რუსეთთან ბრძოლაში წააგო

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა დაასრულა. ავთანდილ ასათიანის გუნდი მეოთხედფინალურ ეტაპზე ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან, რუსეთის ნაკრებთან დაძაბულ შეხვედრაში 1:3 დამარცხდა.

პირველი ტაიმი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. ანგარიში კი, მე-2 ტაიმის დებიუტშივე გაიხსნა – რუსეთის ნაკრები ნიზოვმა დააწინაურა. ერთ-ერთი ლიდერის, თალესის გარეშე მოთამაშე ავთანდილ ასათიანის გუნდმა წონასწორობა მალევე აღადგინა. ელისანდროს კარგი თამაშის და ჩინებული პასის შემდეგ გოლი ბრუნო პეტრის ანგარიშზეა.

რუსეთის ნაკრები მეორედ ივან ჩიშკალამ დააწინაურა, მაგრამ ჩვენს გუნდს კიდევ ერთხელ შეეძლო გათანაბრება. შეხვედრის დასრულებამდე 22 წამით ადრე არჩილ სებისკვერაძის და ბრუნო პეტრის სახიფათო დარტყმები რუსეთის ნაკრების მეკარემ მოიგერია, რის შემდეგაც ჩიშკალამ ცარიელ კარში გატანილი გოლით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ზვიად კუპატაძე იყო. ნაკრების ყველაზე გამოცდილმა წევრმა, საკუთარი გუნდი გოლისგან დღევანდელ შეხვედრაშიც რამდენჯერმე იხსნა.

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე არსებობის ისტორიაში პირველად ისპარეზა. ჯგუფურ ეტაპზე აზერბაიჯანისა და ბოსნიას ნაკრებებთან გამარჯვების შემდეგ, ასათიანის გუნდმა ნაადრევად მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური და კონტინენტის რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

უეფას ფუტსალის ამჟამინდელ რეიტინგში, ჩვენი ნაკრები მე-11 ადგილზეა. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე კი, მე-17 პოზიციას იკავებდა.

ავთანდილ ასათიანი:

– მიყვარს ჩემი გუნდი, რადგან თითოეულმა მოთამაშემ ყველაფერი გააკეთა. ჩვენთვის ისტორიული ევროპის ჩემპიონატი იყო, გუნდმა დიდი გამოცდილება მიიღო და სადებიუტო ჩემპიონატზე საუკეთესო 8 გუნდს შორის მოვხვდით. მეოთხედფინალში დაგვაკლდა გამოცდილება. წარმოუდგენელია ასეთ ტურნირზე პირველად ჩამოხვიდე და ჩემპიონი გახდე. ვხედავ, რომ შეგვიძლია ყველასთან თამაში და ბიჭებმაც ეს დაამტკიცეს. გვჯეროდა წარმატების. თუ არ გჯერა, ვერც ერთ მოწინააღმდეგესთან ვერ გახვალ სათამაშოდ. სწორედ ეს ჩანდა რუსებთან მოედანზე. დავმარცხდით, მაგრამ ქართულმა ფუტსალმა გაიმარჯვა. საქართველოში ფუტსალი შედგა. რამდენიმე წლის წინ ბევრმა არც კი იცოდა ფუტსალი და დღეს, ამ ბიჭების დამსახურებით, მთელმა ქვეყანამ იცის.

მეოთხედფინალში ძალიან დაგვაკლდა თალესი. მინდა გამოვყო თოფურიას სიმამაცე, რომელიც მძიმე ტრავმით თამაშობდა და მთელი გული ჩადო. შეგვეძლო წარმატების მიღწევა, რადგან ასეთ გრანდს, როგორიც რუსეთის ნაკრებია, 39 წუთი თანაბრად ეთამაშები, ესე იგი შეგიძლია ნებისმიერ ძლიერ მეტოქესთან ბრძოლა. შედეგი, ალბათ, კანონზომიერია, მაგრამ შეგვეძლო კიდევ ერთი სენსაცია მოგვეხდინა.

ზვიად კუპატაძე:

– დიდი მადლობა ბიჭებს. ყველაფერი ჩადეს წარმატებისთვის, ყველამ იომა, მადლობა ნაკრების თითოეულ წევრს, ყველამ მაქსიმუმი გააკეთა ამ ევროპის ჩემპიონატზე. ვიცი, ამ დონის თამაშები როგორ წარიმართება და როგორი რთულია ემოციურად. ჩემი მიზანი იყო სპორტის ეს სახეობა ყველას გაეცნო და გამხდარიყო უფრო პოპულარული.

ეს არ არის ჩვენი მაქსიმუმი. ახლა, ისტორია უნდა გადავწეროთ მსოფლიო ჩემპიონატზე. ჩვენი შემდეგი მიზანი მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლაა.

სერგეი სკოროვიჩი:

– ყველამ ვიცოდით, რომ რთული თამაში იქნებოდა. საქართველოს ნაკრების კარგი თამაში ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა, რადგან ვიცოდით, რომ ძლიერი გუნდია. მათ ეს ყველაფერი აჩვენეს – რთული გამარჯვება იყო. თამაშის დროს ვნერვიულობდი, ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ გოლი ვერ გაგვქონდა. საქართველოს ნაკრების მეკარე ზვიად კუპატაძე რუსეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა და მან შესანიშნავად ითამაშა. მათ არ მოგვცეს საშუალება, რომ ჩვენი საუკეთესო თამაში გვეთამაშა.

ივან ჩიშკალა:

– მოგება შევძელით და შესანიშნავი მებრძოლი სული გამოვავლინეთ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ იღბალიც ჩვენს მხარეს იყო, რადგან ჩვენმა მეკარემ ფანტასტიკურად ითამაშა. ყველაფერი უნდა გაგვეღო, რადგან საქართველომ შესანიშნავი თამაში ჩაატარა, ძალიან მკაცრი მეტოქე იყო. კარში ძალიან ბევრჯერ დავარტყით, მაგრამ მათი მეკარეც ჩინებულად გაისარჯა.

ფუტსალის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები 4 თებერვალს გაიმართება. ამსტერდამის „ზიგო დომის არენა“ უკრაინა-რუსეთისა და პორტუგალია-ესპანეთის მატჩებს უმასპინძლებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იუოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

შედეგები

1 თებერვალი

ფეხბურთი

მრ-ველ. სუპერიფინალი ეტაპი ს.ამერიკა

ურუგვაი-ვენესუელა	4:1
არგენტინა-კოლუმბია	1:0
ბრაზილია-პარაგვაი	4:0
პერუ-ეკვადორი	1:1
ბოლივია-ჩილე	2:3

აზია

იაპონია-ს.არაბეთი	2:0
ვიეტნამი-ჩინეთი	3:1
ლიბანი-ერაყი	1:1
სირია-ს.კორეა	0:2
ირანი-ემირატები	1:0
ომანი-ავსტრალია	2:2

ინგლისი. ჩემპიონიგა

მილუოლი-პრესტონი	0:0
სუონსი-ლუთონი	0:1

საფეხბურთო. ლიგა 1

ლიონი-მარსელი	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	22	16	5	1	46-18	53
2.ნიცა	22	13	4	5	36-18	42
3.მარსელი	22	11	7	4	31-18	40
4.სტრასბურგი	22	10	5	7	44-29	35
5.რენი	22	10	4	8	41-21	34
6.მონპელიე	22	10	4	8	37-30	34
7.ლიონი	22	9	8	5	31-28	34
8.მონაკო	22	9	6	7	35-26	33
9.ლანსი	22	9	6	7	36-31	33
10.ნანტი	22	9	5	8	30-27	32
11.ლილი	22	8	8	6	30-30	32
12.ანჟე	22	7	8	7	28-29	29
13.ბრესტი	22	7	7	8	28-33	28
14.რეიმსი	22	5	9	8	22-27	24
15.კლერმონი	22	5	6	11	22-39	21
16.ტრუა	22	5	5	12	20-31	20
17.ბორდო	22	4	8	10	34-53	20
18.მეცი	22	4	7	11	24-43	19
19.ლორიანი	22	3	8	11	18-38	17
20.სტ.ეტიენი	22	3	6	13	19-43	15

საფეხბურთო. ლიგა 2

ვალანსიენი-ნანსი	6:1
ნიორი-დიუნკერკი	2:0
ოსერი-პარიზი	1:2
პო-ნიმი	0:3

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სანტა კლარა-ბოავიშტა	2:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივინგსტონი-სტ.ჯონსონი	1:2
როსი-აბერდინი	1:1
სტ.მირენი-მოზერველი	1:1
დანდი-დ.იუნაიტედი	0:0
ჰიბერნიანი-ჰართსი	0:0

სამგლოვიარო განცხადებები

ვახტანგ ვეფხვაძე, რეზო კობაიძე, გოჩა მალანია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი პიროვნების, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის, ღირსეული და ჭეშმარიტი მამულიშვილის

გერმანე ღუდუშაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას I შეს. №3, I სადარბაზო, მე-8 სართული (იგივე ფ. თავაძის №3).

პანაშვიდი: 3 თებერვალს 12.00 სთ-ზე თბილისში.

გადასვენება: 3 თებერვალს 14.00 სთ-ზე ყაზბეგში.

დაკრძალვა: 4 თებერვალს 15.00 სთ-ზე დაბა ყაზბეგში.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ძველი ქართული დამწერლობა; 2. განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 3. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 4. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 5. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი; 8. ფერადი მინის ან მარმარილოს ნახატებისგან შექმნილი ნახატი ან ორნამენტი; 9. პირველი ამერიკელი კოსმონავტი ქალი; 12. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 13. ავსტრალიური სირაქლემა; 16. ქართველი ნიჩბოსანი, ევროპის ჩემპიონი; 17. ყირიმის ძველი სახელწოდება; 19. მკბენარა მწერი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

თარაზულად: 6. ლატვიის ძველი სახელწოდება; 7. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დედამიწაზე დასაშვებად; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი შინაური ცხოველი; 11. ირლანდიური ცეკვა; 14. წყნარი ოკეანისპირა პოპულარული კურორტი მექსიკაში; 15. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 18. ებრაული წესით დამზადებული ღვინო; 21. მკვრივი ქანების სანგრევი, ორწვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 22. პატარა ბაღი; 23. ფარული დაცინვა; 24. ასტრონომიული ხელსაწყო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მაჭარი; 2. ბონი; 3. პაგინაცია; 4. დუომო; 5. დიუპონი; 8. ჭანები; 9. სამტრედია; 12. ლომისა; 14. ბილონი; 16. ოტელო.

თარაზულად: 1. მზეჭაბუკი; 6. ხანჯლური; 7. ჭრიჭინა; 9. სტრიტი; 10. ჯოჯო; 11. ლეჩხუმი; 13. ტიბრი; 15. დომინო; 17. მარსელო; 18. ნინიძე; 19. ქსენძი; 20. რონალდუ.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ემბარგო; 2. პუშკინი; 3. გიორგობა; 4. თემიდა; 5. თავთუხი; 8. ბანკეტი; 9. ბირთვისი; 12. ტრაულერი; 13. კალმახი; 16. ჭყონდიდი; 17. ფერმერი; 19. იბერია; 20. დურუჯი.

თარაზულად: 6. ამაშუკელი; 7. ჰეტმანი; 8. ბარონი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. ტრავოლტა; 15. ჰამბურგი; 18. იყალთო; 21. ბახმარო; 22. ფუქსი; 23. ალგეთი; 24. ციციშვილი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0286

ევრო — 3.4250

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1031

100 რუსული რუბლი — 3.9788

ამინდის პროგნოზი 3 თებერვლისათვის

მამარდაშვილი შესაძლოა ვალენსიას ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ

ვალენსიის ქართველ მეკარეს გიორგი მამარდაშვილს გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება მიეცა, რადგან იასპერ სილესენმა ტრავმა მიიღო და ის გუნდს მინიმუმ რამდენიმე კვირა ვერ დაეხმარება. მამარდაშვილი მეორე მეკარე იყო და ეს მისთვის საკმაოდ დიდი შანსია, რომ ისევ პირველი მეკარე გახდეს, როგორც ეს სეზონის დასაწყისში იყო, როდესაც გიორგიმ რამდენიმე დაშვებული შეცდომის გამო სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

იურგენ კლოპი: „მიმდინარე სეზონში ბევრი შეცდომა დავუშვით“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა მიმდინარე სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ბევრი შეცდომა დაუშვა, რის გამოც ლივერპულს თითქმის არა აქვს ჩემპიონობის შანსი: „სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ჩემპიონობის საკმაოდ მცირე შანსი გვაქვს, რადგან ბევრი ქულა დავკარგეთ და მანჩესტერ სიტი ძალიან კარგ ფორმაშია. მომავალ სეზონში ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ და უფრო ყურადღებით ვიყოთ“.

მორატა სეზონს იუვენტუსში დაამთავრებს

იუვენტუსის ფორვარდი ალვარო მორატა დიდი ალბათობით სეზონს ტურინში დაასრულებს, რადგან მისი ტრანსფერი ბარსელონაში ჩაიშალა, ხოლო ატლეტიკო კი არ აპირებს მის დაბრუნებას. ამის გამო დიდი შანსია იმის, რომ მორატამ იუვენტუსთან ახალი კონტრაქტიც გააფორმოს, რადგან მას მხოლოდ ესპანეთში სურდა დაბრუნება და თუ ეს ვარიანტი არ შედგა, მაშინ მორატა იუვენტუში დარჩება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მის აშშ ნიუ იორკში გარდაცვლილი ნახეს

მის აშშ 2019 ჩელსი კრისტი ნიუ იორკში გარდაცვლილი აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა სამართალდამცავ ორგანოებზე დაყრდნობით ავრცელებს.

30 წლის მოდელის ცხედარი კვირას დილით 60-სართულიან ცათამბჯენთან ნახეს, რომელშიც ის ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ კონკურს „მის აშშ 2019“-ის გამარჯვებული ბოლოს 29-ე სართულზე ნახეს. გარდაცვალებამდე კრისტმა დაწერა, რომ სურდა, მთელი თავისი ქონება დედისთვის დაეტოვებინა.

– ჩვენ გამოფიტულები და ღრმად დამწუხრებულები ვართ იმის გამო, რომ იძულებული ვართ გაცნობოთ ჩვენი საყვარელი ჩელსის დაღუპვის თაობაზე. ის სინათლეს ასხივებდა და სხვა ადამიანებს მისი სილამაზე და ძალა ავსებდა, – ნათქვამია დაღუპულის ოჯახის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 თებერვლისათვის

ვერძი – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **კურო** – ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს. შესაფერისი დღეა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. **ტყუპები** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **კირჩხიბი** – საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **ლომი** – მოულოდნელი ინფორმაცია მთელ გეგმებს თავდაყირა დაგიყენებთ. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **სასწორი** – პრობლემები არ გაწუხებთ. მთავარია, არ დაიბნეთ და გადაწყვეტილებები ნათელი გონებით მიიღოთ. **ღრიანკალი** – ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აგიმაღლდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **თხის რქა** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **მერწყული** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ გარგებთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ. **თევზები** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რაც მომავალ წარმატებას ხელს შეუწყობს, თუმცაღა, წინდახედულობა მაინც გმართებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:
– გეყოფა, დაწექი! თავად არ იძინებ და არც სხვებს აძლევს დაძინების საშუალებას!
– არ შემიძლია, მე ბუ ვარ.
– მაშინ მიდი აბა, თავი 180 გრადუსით შეატრიალე!
– არ შემიძლია.
– არა უშავს, ახლავე დაგეხმარები.

●●●

ქალი კაცს ეუბნება:
– ნუ მაბრაზებ, განრისხებული საშინლად გამოვიყურები!
– არც ისე ხარ ანგელოზი...

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:
– უკვე ყელშია ამოსული ჩემი ქმარი: დილას მიეცი, შუადღეს მიეცი, საღამოს მიეცი!..
– რა ბედნიერი ხარ, გოგო...
– რა ბედნიერებაზე მელაპარაკები? დასალევის ფულს მთხოვს!..

●●●

კაცი ქალს ეკითხება:
– არაყს სვამთ?
– არა, რას ამბობთ, პირს საერთოდ არ ვაკარებ!
– ეს, რა თქმა უნდა, სამწუხაროა, მაგრამ არყის თაობაზე მაინც არ მიპასუხეთ...

●●●

დილით დედა შვილს ეკითხება:
– შვილო, დღეს რას შეჭამ?
– პური გვაქვს?
– გვაქვს.
– კარაქი?
– გვაქვს.
– ძეხვი?
– ეგეც გვაქვს.
– მაშინ ხაჭაპურს.

●●●

ექიმი პაციენტს:
– ასე, პულსი ნორმალურია.
– ექიმო, მარცხენა ხელზე ნახეთ, ეგ პროთეზია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამუნა მუსერიძემ ტელეკომპანია „ფორმულა“ დატოვა

ტელეწამყვანმა თამუნა მუსერიძემ ტელეკომპანია „ფორმულა“ დატოვა.

მას ამ ტელევიზიაში საავტორო გადაცემა „ვეძებ“ მიჰყავდა, რომელიც გაშვილებული პატარების და მათი მშობლების თემებს აშუქებდა.

თამუნა მუსერიძემ „ფორმულაში“ მუშაობა შემოდგომაზე დაიწყო. ახალ სატელევიზიო სეზონზე კი ტელეკომპანია მისი გადაცემის გარეშე გააგრძელებს მაუწყებლობას.

თამთა მელაშვილის „შაშვი შაშვი მაყვალი“ ფილმად გამოვა

მწერალ თამთა მელაშვილის რომანზე „შაშვი შაშვი მაყვალი“ ფილმს გადაიღებენ.

ლიტერატურული პრემია „საბას“ მფლობელი ნაწარმოებით რეჟისორები უკვე დაინტერესდნენ. თამთა მელაშვილის რომანს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ნაწილს მწერლის გაბედულება მოეწონა, ნაწილმა კი უწმაწური სიტყვების სიმრავლე დაუწუნა.

თამთა მელაშვილის „შაშვი შაშვი მაყვალი“ მარტოხელა ეთეროს ცხოვრებაზე მოგვითხრობს. შუახნის, მარტოხელა ქალი ეთერო პატარა ქალაქის მკვიდრია და თავისსავე მაღაზიაში მუშაობს. მის ერთფეროვან, უშფოთველ ცხოვრებას თითქოს არაფერი ემუქრება, მაგრამ ერთ დღეს, მოულოდნელი ინციდენტი შეემთხვევა და მისი დალაგებული ცხოვრება თავდაყირა დგება. სიკვდილის შიშით შეძრული ქალი ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, სხვა დროს რომ ვერაფრით გაბედავდა და მოულოდნელ სასიყვარულო თავგადასავალში ეხვევა.

ფილმში ეთეროს როლს მსახიობი ეკა ჩავლეიშვილი შეასრულებს, რეჟისორი კი ელენე ნავერიანი იქნება.

ნატალია ნაყოფიამ ახალ სიმღერაზე კლიპი გადაიღო



მომღერალმა ნატალია ნაყოფიამ საზოგადოებას ახალი ნამუშევარი შესთავაზა:

„ცისფერი აბი“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომელიც „ბრავო რეკორდსში“ ჩაწერა და მასზე ვიდეორგოლიც გადაიღო.

ახალი ნამუშევარი მომღერალმა ფართო საზოგადოებას წარუდგინა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ზაზა შენგელია, „ბრავო რეკორდსის“ ხელმძღვანელი:

– „ცისფერი აბი“ – ასე ეწოდება ახალ სინგლს, რომელიც ახალგაზრდა ნიჭიერმა მუსიკოსმა, ნატალია ნაყოფიამ „ბრავო რეკორდსში“ ჩაწერა და რომლის მუსიკა და ტექსტიც თავად მას ეკუთვნის. სიმღერა, განსაკუთრებით მისი ტექსტი უაღრესად აქტუალურია, რაც იშვიათობაა დღევანდელ დღეს ქართულ მუსიკალურ სივრცეში, და თანამედროვე საქართველოში ახალგაზრდა წყვილების ურთიერთობებში არსებულ პრობლემებს ეხება. ბერკლის პრესტიჟული მუსიკალური კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ნატალია'„ბრავო რეკორდსში“ თავის სადებიუტო ალბომზე მუშაობს და „ცისფერი აბი“ სწორედ ამ ალბომის ერთ-ერთი გამხსნელი ჰიტია.

კლიპიც და თავად სიმღერაც ძალიან საინტერესოდ – მსუბუქი ირონიითა და იუმორით ორიგინალურადაა გადაწყვეტილი და დარწმუნებული ვარ, უმოკლეს ვადებში უამრავ ნახვებს დააგროვებს და ახალგაზრდების ერთ-ერთ უსაყვარლეს ჰიტად იქცევა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო: გარდა იმისა, რომ ძალიან, ძალიან და მრავალმრივ ნიჭიერია, ნატალია ნაყოფია არის ეტალონი, თუ როგორ უნდა მუშაობდეს მუსიკოსი ხმის ჩამწერ სტუდიაში, როცა ზედმიწევნით გააზრებული აქვს, თუ რისი გაკეთება სურს და როგორ უნდა მიაღწიოს მიზანს.

გია ჯაჯანიძეს ებრძვიან

ტელეწამყვანი და პროდიუსერი გია ჯაჯანიძე აცხადებს, რომ მას ადამიანები ებრძვიან:

– ვერ მოერივნენ ჩემს სულს, ბუნებას, ხასიათს და სილაღეს ადამიანები, რომლებიც მებრძვიან.

ისინი კონკრეტულად ჩემს არსებობას კი არ ებრძვიან, თავიანთ წარმოსახვაში ჩემს ყოფას ვერ ეგუებიან, ვინაიდან ეჩვენებათ, რომ ხელს ვუშლი ცხოვრებაში.

მე ბრძოლას ბრძოლით არ ვპასუხობ, ჩემი სტრატეგია მაქვს, არ ვჩქარობ, წყნარად ველოდები მოვლენებს.

სიმშვიდეს ვინარჩუნებ, დროს ვაძლევ, ვკარნახობ, ვასწავლი და მივანიშნებ, რომ მისი მტრული დამოკიდებულება, მისივე უბედურებით დამთავრდება.

ის მტერია, განა მარტო ჩემი, ის ყველას მტერია. ის მტრად დაიბადა და მტრად ჩამოყალიბდა. ყველას დაეჭვებული უყურებს, ეჩვენება, რომ ყველა მას ებრძვის, მისი წინააღმდეგაა, ყველა მას ღალატობს და ყველას მისი შურს.

მტრულად განწყობილი ადამიანი ძირშივე დამარცხებული, დაცემული და განადგურებულია. არაერთხელ იგემა დაცემა, მაგრამ არ ეპუება, სისხლში აქვს გამჯდარი, ის თავის თავის მტერიცაა და რა ქნას, თუ ასეთი გაჩნდა.

არ ებრძოლოთ მტერს, არ იჩქაროთ, არ შეეპასუხოთ, აზრი არ აქვს, ის მტრადაა დაბადებული, მასზე მხოლოდ დრო იმარჯვებს.

სიყვარული ყველაზე და ყველაფერზე იმარჯვებს, მტრული სისხლით დაბადებულისთვის სიყვარულიც უძლურია.

გამოსავალი არსებობს, თუ შეგწევს უნარი, თუ უშიშარი ხარ, თუ კაცთმოყვარე ხარ, გული შეგტკივა და არ გინდა ხილულად ნახო, როგორ ნადგურდება ადამიანი, უთხარით, ყველამ უთხარით, რასაც მასზე ფიქრობთ, არ შეგეცოდოთ, ატკინეთ იმისთვის, რომ ის გადარჩეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. ღვინის დეგუსტატორის ძველებური სახელწოდება საქართველოში; 4. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 5. ქალაქი იმერეთში; 8. ტროპიკული მცენარეებისგან დამზადებული მუქი ლურჯი საღებავი; 9. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო თვითმფრინავში; 12. იაპონური მოტოციკლეტი; 14. შტატი აშშ-ში; 16. უბანი თბილისში.

თარაზულად: 1. კლდეში ნაკვეთი ისტორიული ქალაქი შიდა ქართლში; 6. შვედური კომპანია „იკეა“-ს მფლობელი; 7. გერმანული ფაშიზმი; 9. გია დანელიას კინოკომედია; 10. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 11. აზნაურის ტიტული საფრანგეთში; 13. მუსლიმანური კალენდარი; 15. სოფელთა სახელწოდება უკრაინაში; 17. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 18. გამომშრალი უკურკო გარგარი; 19. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 20. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა